# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 5 დეკემბერი, 2009 წელი.

№ 245 (6345)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## ქვეყნის ჭირი



ძროხა დაუმარხავი დამრჩა, სახლი – დანგრეული... 4

## როგორ ზოგავენ და რაში ხარჯავენ პარლამენტში თანხებს 2



რონინ მეტრეველი – 70

ერის ისტორიას მიყურადებული... 5

როგოზინი:

## საქართველო მთლიანად ხელახლა შეიარაღდა 8



## ახალი მსხვერპლი – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. რიგში დგას ბათუმის უნივერსიტეტი! 4

ხუმარსიტყვა 9

„კოლორიტი“




# რა პროვოკაციულმა და შეურაცხმყოფელმა კითხვებმა აღაშფოთეს საზოგადოება?





## ბინძური ხელები თქვენკენ მიიბრუნეთ!

დაიცავი საკუთარი თავი!

დაიცავი წარსული!

დაიცავი მომავალი!

დაიცავი საქართველო!

რას შეიძლება აეღელვებინა საზოგადოება ისე, როგორც საქართველოს პატრიარქისადმი საზოგადოების ერთი ნაწილის (235 კაცის) მიერ გაგზავნილი შეკითხვების ნუსხაა?

შეკითხვები პროვოკაციული, შეურაცხმყოფელია და მიზნად ისახავს არა „საზოგადოებაში არსებულ კითხვებზე პასუხის გაცემას“, არამედ ხალხის გაღიზიანებას, მასში უნდობლობის დათესვას, დედაეკლესიის ავტორიტეტის შელახვას.

აი ზოგიერთი „შეკითხვა“:

*„პირადად თქვენ თანამშრომლობდით თუ არა საბჭოთა სუკთან?“, „მართალია ითამაშა თუ არა გადამწყვეტი როლი საბჭოთა ხელისუფლებამ თქვენს პატრიარქად არჩევაში?“, „დაგეხმარათ თუ არა საბჭოთა ხელისუფლება თქვენი კონკურენტის, მიტროპოლიტ გაიოზ კერატიშვილის ჩამოგდებაში?“, „1989 წლის 9 აპრილს რატომ არ დარჩით განსაცდელში მყოფი თქვენი სამწყსოს გვერდით?“ „რატომ გამოხატავდით მხარდაჭერას სამხედრო საბჭოს წევრების, განსაკუთრებით კი ჯაბა იოსელიანის მიმართ?“, „რატომ ეწევა საეკლესიო პრესა ქსენოფობიურ, ანტისემიტურ, ანტისომხურ, ანტილიბერალურ, ანტიდასავლურ და პრორუსულ პროპაგანდას?“, „რატომ სათანადოდ ვერ აპროტესტებთ მოსკოვის საპატრიარქოს მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საეკლესიო ოკუპაციას და ამ ფონზე რატომ იწვევთ პატრიარქ კირილს საქართველოში?“, „რატომ არ უკრძალავთ მღვდელმსახურებას მღვდელ ბესარიონ აპლიას და ბერდიაკონ დავით სარსანიას, რომლებიც ანტიქართულ-ანტიეკლესიურ და ექსტრემისტულ საქმიანობას ეწევიან?“, „რატომ არ გამოხატავთ ნებას, რომ სახელმწიფომ სომხურ ეკლესიას ისტორიულად მისი კუთვნილი ტაძრები დაუბრუნოს?“, „იზიარებთ თუ არა გავრცელებულ შეხედულებას, რომ თქვენ როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველიერარქი, ხართ უცდომელი, რომლის მოსაზრებაში ეჭვის შეტანაც კი არის მკრეხელობა და ცოდვა?“*

საპატრიარქო არ აპირებს ამ „შეკითხვებზე“ პასუხის გაცემას. მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის ჩვენი აზრი გამოვხატოთ მათ შესახებ. დღევანდელი ნომრის მე-3 გვერდზე ვბეჭდავთ აღშფოთებული მოქალაქეების წერილებს.

იხ. 3 გვ.

პოლიტწკიპურტები

# ლუსტრირებული რუსთაველი



**ძველი ანეკდოტით დავიწყებ სათქმელს.**

**უკვე მაღალჩინოსანი ფილიპე მახარაძე მშობლიურ რაიონში ჩასულა. ძვირფასი ტყავის პალტო ცმევია.**

**— კარგია, გიხდება, — უთქვამს მისთვის ერთ იქაურ ნაცნობს.**

**— აჰა, შენც მოიზომე, — დიდკაცური გულმოწყალებით შეუთავაზებია ფილიპეს.**

**მოუსხამს იმ მეზობელს ფილიპეს პალტო.**

**— შენც გიხდება, ხომ იცი, — კვლავ მოწყალედ გაუღიმია ფილიპეს.**

**— რეიზა არ მომიხდება რა, ჩემი ტყავია და...**

რამდენი ხანია, გია თორთლაძე ვენებს იჭრის — ლუსტრაციის კანონი მივიღოთო.

და სანამ იგი ლუსტრაციაზე ლაპარაკით ილღება, მთელი საქართველო არა, მაგრამ რუსთაველის პროსპექტი კი უკვე მთლიანად... ლუსტრირებულია.

...ჩემოდანს რა უნდა მატარებელში, ჩემოდანი ტახტის ქვეშ გამიგია მე! — ხომ გახსოვთ, როგორ უთხრა ზურიკელა ვაშალომიძემ „ინდაურის კვერცხს“.

ცოცხალი რომ იყოს, ცხონებულ ნოდარ დუმბაძეს ზურიკელასთვის, შესაძლოა, ახლა ასეთი რამეც ეთქმევინებინა: ლუსტრას ქუჩაში რა უნდა, ლუსტრა სახლში გამიგია მე!

— ეს ჭაღები ჩინეთში ვიყიდეთ მილიონადო, ენერგიადამზოგავი ნათურებიც მოვარგეთო, — გვითხრეს ტელევიზიით.

**— რეიზა არ იყიდდნენ და არ ააბრჭყვიალებდნენ რა! მაგენის რა მიდის! მაგის გადასახადიც ჩემი და შენი დენის ტარიფშია შეტანილი, — წამოიძახა ამის გაგონებაზე ფილიპე მახარაძის იმ ნაცნობის შთამომავალმა, ოზურგეთიდან შვილთან რომ ჩამოსულიყო, და დაამატა: მართალი კია, რომ ამბობენ, თვალი ჭამს და თვალი სვამსო, მარა თვალზე მეტად კუჭს სჭირდება საჭმელ-სასმელიო.**

**...რას არ მოიგონებენ და არ იტყვიან ეს დაუნახავი სოფლელები!**

# მადლს მარილიც მოვაყაროთ!

**ახლახან თბილისის ისანი-სამგორის რაიონში მიხეილ სააკაშვილი საცურაო აუზის მშენებლობის მიმდინარეობით დაინტერესდა. პრეზიდენტს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი და სხვა მაღალჩინოსნებიც ახლდნენ.**

**მანამდე თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის საპატრულო პოლიციის შენობა გაიხსნა ორკესტრით, ლოზუნგით, მოზეიმე დიდპატარებით... ღონისძიებაში შინაგან საქმეთა მინისტრი, თბილისის მერი და სხვა მაღალჩინოსნებიც მონაწილეობდნენ.**



ახლახან ჩემმა ახლობელმა თავისი ვაჟის ოქროს მედალი მაჩვენა, სკოლის წარჩინებით დამთავრებისთვის რომ დაემსახურებინა.

მივულოცე. ვინ გადმოგცათ და სად-მეთქი.

არავის გადმოუცია, ტელევიზიით გავიგე და რესურსცენტრში ავიღეო, მიპასუხა.

დაინტერესებულმა, მეც ვნახე ამის მერე ტელევიზიით ასეთი რეკლამა-განცხადება: **ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებმა მედლების ასაღებად მიაკითხეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რესურსცენტრებს საჯარო სკოლების ადგილმდებარეობის მიხედვითო.**

თქვე კარგი დედმამიშვილებო, რახან მადლი ჰქენით და მიიღეთ სწორი გადაწყვეტილება საჯარო სკოლების წარჩინებით კურსდამთავრებულთა ოქრო-ვერცხლის მედლებით დაჯილდოების თაობაზე, არ შეიძლება, რომ ყოველი ასეთი მოსწავლისთვის (მათი მშობლებისა და ნათესავ-ახლობლებისთვისაცძ ისედაც ერთობ სამახსოვრო ეს დღე (მედლების გადაცემის დღეძ კიდევ უფრო ლამაზი და დასამახსოვრებელი გავხადოთ?

**ანუ მათ ასე ცალ-ცალკე და ლამის პარტიზანულად კი არა, საზეიმო ვითარებაში, განათლების დარგის მესვეურთა მონაწილეობით და მათი ხელიდან მიიღონ ეს მედლები?**

**მადლი მარილმოყრილი სჯობს.**

კარგია, საჭიროა ასეთი ობიექტების გახსნაც და მათში მაღალჩინოსანთა მონაწილეობაც.

თუმცა, ჩემი ღრმა რწმენით, ერთი რამეც იქნება კარგი:

# კვლავ თმენის ვალდებულება?!

**— კაცო, გადამრევს ეს ხალხი, საჯაროდ, გაზეთის ფურცლებიდან დააბრალეს ცხონებული ზურაბ ჟვანიას მკვლელობაში მონაწილეობა, მაგრამ არც ერთი მათგანი ყურადღებას არ აქცევს და არც ცდილობს ბრალდების გაბათილებას, ცილისწამების (თუ ეს მართლაც ცილისწამებაა) უარყოფას. რა უნდა ასეთ ხალხს ხელისუფლებაში? — ცხარობდა სათვალიანი მამაკაცი.**

— სწორედ იმიტომ დუმან, რომ ხელისუფლებაში არიან, მაღალჩინოსნებს კი კანონით აკისრიათ თმენის ვალდებულება. უჩივლონ სასამართლოში და იქ მიიღებენ პასუხს, — აუხსნა გვერდით მჯდომმა.

— კარგი, საერო ხელისუფლებაში ასე ყოფილა, მაგრამ სამღვდელოებაშიც ამგვარადაა?

— ვერ გავიგე?

— აი, ამ სამიოდ კვირის წინათ გაზეთებმა (კერძოდ, „ასავალ-დასავალმა“ძ გვაუწყეს, თურმე ოთხმა მღვდელმთავარმა ულტიმატუმი წაუყენა კათალიკოს-პატრიარქს, გადადექი, თორემ ქვეყანა იღუპებაო.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა ამავე გაზეთით მოსთხოვეს ამ ღვთისმსახურებს, თუ ასე არ არის, უარყავით ბრალდებებიო, მაგრამ არც ისინი იღებენ ხმას. რაო, სამღვდელოებაშიც თმენის ვალდებულება დაკანონებული? თავიანთი მრევლის წევრები მაინც გაარკვიონ საქმის ვითარებაში! — არ ცხრება სათვალიანი.



**მის გვერდით მჯდომი მხრებსლა იჩეჩავს.**

**ჩვენც ისღა დაგვრჩენია, მას მივბაძოთ!**

**რუსლან რუსია**

კანონმდებლები

# როგორ ზოგავენ და რაში ხარჯავენ პარლამენტში თანხებს

**საპარლამენტო ოპოზიცია განმარტებას ითხოვს, თუ რაში დაიხარჯება პარლამენტის დაზოგილი თანხები.**

ეს მოთხოვნა ქრისტიან-დემოკრატების წარმომადგენელმა ლევან ვეფხვაძემ გუშინ სესიაზე 2009 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის პროექტის განხილვისას გააჟღერა.

ბიუჯეტში ცვლილების შეტანის პროექტის განხილვის დაწყებამდე პარლამენტის მხრიდან გაკეთდა განცხადება, რომ პარლამენტის ბიუჯეტი მომავალი წლიდან კიდევ უფრო შემცირდება. როგორც საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ მელიქიშვილმა განაცხადა, მიმდინარე წელს პარლამენტმა მოახერხა 2 მილიონ 456 ათასი ლარის დაზოგვა.

— როდესაც ჩვენ სამთავრობო უწყებებს მოვუწოდებთ თანხების დაზოგვაზე, კარგი მაგალითია ის, თუ ჩვენ თავად ამ თანხას როგორ ვზოგავთ, — განაცხადა მელიქიშვილმა.

ოპოზიცია დაინტერესდა კონკრეტულად რაში მოხდა თანხის დაზოგვა და სად მიიმართება ეს თანხები. ვეფხვაძის კითხვის საპასუხოდ მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ ვეფხვაძე არის ხაზინადართა საბჭოს წევრი და მან უნდა იცოდეს, საიდან იზოგება და რაში მიიმართება თანხები.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ ეს თანხები დაიზოგება ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯებიდან. მიხეილ მაჭავარიანმა განმარტა, რომ ეს თანხა უნდა მოხმარებოდა სხდომათა დარბაზის რეკონსტრუქციას, თუმცა არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, პარლამენტი უპრიანად მიიჩნევს დარბაზის რეკონსტრუქციის ნაცვლად თანხა უფრო საჭირო სფეროს მოხმარდეს.

ახალი ქარტია

# ჟურნალისტების კოდექსი... ჟურნალისტებისთვის

## არსებული კანონი საკმაოდ ლიბერალური იყო

**სად მთავრდება ჟურნალისტის თავისუფლება და სად იწყება პროფესიული თავხედობა? — ამ კითხვას, ალბათ, ლაკონურ პასუხს ვერავინ გასცემს, თუმცა ამაზე მუშაობა წლინახევრის წინათ თავად ჟურნალისტებმა დაიწყეს.**

**„ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“** გუშინ სასტუმრო „რედისონში“ დამფუძნებელ კრებაზე მიიღეს, რომელიც ასობით ჟურნალისტის ხელმოწერით დასრულდა. ამიერიდან ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში ახალი ეტაპი უნდა დაიწყოს, როცა თითოეული მედიის წარმომადგენელი დაიცავს იმ თერთმეტ პრინციპს, რომელიც ქარტიაშია ჩამოთვლილი: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას — მიიღოს ზუსტი ინფორმაცია; აზრი გამოხატოს საკუთარი სინდისის შესაბამისად, ინფორმაცია გადასცეს მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით; დოკუმენტები, ფოტოები მოიპოვოს კეთილსინდისიერად და სამართლიანად; არ უნდა გაამჟღავნოს კონფიდენციალურად მოპოვებული ინფორმაციის წყარო; დაიცვას ბავშვთა უფლებები; პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას; პროფესიული დანაშაულია: ფაქტის განზრახ დამახინჯება, ნებისმიერი სახის ქრთამის აღება, პლაგიატი.

ქარტიის ტექსტებზე და მისი მოქმედების მექანიზმებზე 100-მდე ჟურნალისტი, ევროპელი და ქართველი ექსპერტები და იურისტები მუშაობდნენ. პროექტი ევროპის საბჭომ და ევროკავშირმა დააფინანსეს. „ქარტიას“ ჟურნალისტი **ია ანთაძე** ხელმძღვანელობდა. აქამდე ჟურნალისტები „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით ხელმძღვანელობდნენ. ია ანთაძე მიიჩნევს, რომ ეს საკმაოდ ლიბერალური კანონია, თუმცა საქმე ის გახლავთ, რომ ჟურნალისტების ნაწილი ამ თავისუფლებას ძალიან უარყოფითად იყენებს. **„ამიტომაც ჩვენ შორის აღმოჩნდნენ კოლეგები, რომლებმაც გადაწყვიტეს, შეექმნათ რეგულაციის ისეთი მექანიზმი, როდესაც მედია თავად იტყვის, სად დაუშვა შეცდომა და ეს რა ტიპის შეცდომა იყო, — ამბობს ქალბატონი ია, — ეს არის ჟურნალისტების კოდექსი ჟურნალისტებისთვის, სადაც არის კიდევ ერთი მოთამაშე — საზოგადოება, რომელიც შეცდომებს ჩვენ კოლეგებს არ აპატიებს და კონტროლს გაუწევს.**

**კოდექსი იმუშავებს თუ არა, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად ავტორიტეტული იქნება ქარტიის საბჭო, თუმცა არიან ჟურნალისტები, რომლებიც თავს არიდებენ ასეთი ვალდებულებების აღებას“,** — დასძინა მან.

„რედისონში“ შეკრებილ ჟურნალისტთა სპექტრს თუ გადავხედავდით იქ საკმაოდ ბევრი მედიის წარმომადგენელი იდგა რიგში, რომელიც მზად იყო ქარტიისათვის ხელის მოსაწერად, ჩამოსული იყვნენ კოლეგები რეგიონებიდან. სტუმრებს შორის იყო დეპუტატი გიორგი თარგამაძე, რომელთანაც ბლიც-ინტერვიუ ჩავწერეთ.

**— ბატონო გიორგი, ჩანს, გულგრილი არა ხართ ძველი პროფესიისადმი.**

— ცხადია, ძველი პროფესიის მიმართ არ ვარ გულგრილი, მაგრამ კიდევ უფრო შემტკივა გული ჩემს დღევანდელ პროფესიაზე. მე დღეს, აქ, ამ დარბაზში პოლიტიკურ კლასს წარმოვადგენ. ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის, რომელიც კონკურენტულ გარემოში ხედავს თავის მომავალს და წარმატების გარანტიას, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში მედიასივრცე იყოს უფრო თავისუფალი და ჯანსაღი, საზოგადოების ნდობა კი იყოს ჟურნალისტისადმი მაღალი. ამიტომ მივესალმები ნებისმიერ იდეას და ინიციატივას, რომელიც თავად ჟურნალისტებიდან მოდის და თვითრეგულირებისა და პროფესიული სტანდარტების ამაღლებისკენ არის მიმართული. მე ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი და ვიქნები წინააღმდეგი ჟურნალისტიკის რეგულირების მცდელობისა სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან.

ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს ინიციატივა არათუ მნიშვნელოვანია, არამედ ძალიან დროული და საჭიროა, რადგან ეს იქნება ბერკეტი და იარაღი იმისათვის, რომ საზოგადებას ნდობა გაუჩნდეს ჟურნალისტიკის მიმართ. ამ მხრივ, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ბზარი გაჩნდა მედიასივრცეში ბოლო დროს, რასაც, იმედია, პროფესიული ეთიკური სტანდარტების მექანიზმების ამუშავება დადებით შუქს შესძენს.

**— მაგრამ, როცა საუბარია ჟურნალისტის სინდისზე პროფესიული საქმიანობისას, მახსენდება აკაკი ბაქრაძის ერთი ნათქვამი: პესიმისტი კაცი იტყვის, ბოთლი ნახევრად ცარიელია, ხოლო ოპტიმისტი ამბობს, ბოთლი ნახევრად სავსეაო.**



**ანუ აქ ბევრი რამე თავად ჟურნალისტის შინაგან მრწამსზეც არის დამოკიდებული, არა?**

— მე შეგიძლიათ ოპტიმისტთა რიგს მიმაკუთვნოთ...

როცა სტუდენტებთან მიწევს ურთიერთობა, ყოველთვის მომყავს ხოლმე შედარება, ჟურნალისტი თავისი პროფესიით და ფუნქციით პროკურორთან უფრო ახლოს უნდა იდგეს თუ ადვოკატთან.

სერიოზული განხილვების შემდეგ ყოველთვის იმ აზრამდე მივდივართ, რომ ჟურნალისტი ადვოკატთან უფრო ახლოს უნდა იდგეს, ვინაიდან იმ შემთხვევაშიც კი, როცა ის ბრალმდებლის პოზიციიდან გამოდის, ვთქვათ, რომელიმე სახელმწიფო მოხელის მიმართ, ის საზოგადოების ადვოკატის ფუნქციებს უნდა აკმაყოფილებდეს და არა — პროკურორისას. ჟურნალისტი შეიძლება ხშირად ბრალმდებელი იყოს, მაგრამ მას უნდა ახსოვდეს, რომ ის არის საზოგადოების ადვოკატი და მისი ინტერესების დამცველი. ამიტომ ამ მხრივ, მე მაქვს ნათელი პოზიცია: ჟურნალისტი უნდა იყოს ოპტიმისტი, რომელიც ეცდება, ყველა ფაქტსა თუ პრობლემაში ეძებოს გამოსავალი და არა მიზეზები იმის ასახსნელად, რომ თითქოს რომელიმე მიმართულებით რაიმე გარღვევა და წარმატების მიღწევა არ შეიძლება.

**— რას ფიქრობს ყოფილი კოლეგა ქართველ ჟურნალისტებზე?**

— მრავალფეროვანია, ჟურნალისტიკა მთელს მსოფლიოში ასეთია. ნუ მოვითხოვთ, რომ ყველა ჟურნალ-გაზეთი, რადიო თუ ტელევიზია ერთ თარგზე იყოს მოჭრილი. ჩვენ ვიზრდებით საზოგადოებასთან, ჩვენს დემოკრატიულ კულტურასთან ერთად. დარწმუნებული ვარ, რაც მეტი დრო გავა და პლურალიზმის ხანას გამოვივლით, მით უფრო მეტად გაიზრდება მოთხოვნილება ჟურნალისტების პროფესიული სტანდარტების მიმართ.

დღევანდელი მოვლენა სწორედ ამის დადასტურებაა. ესეც დრომ მოიტანა. ჟურნალისტები მიხვდნენ, რომ თავად უნდა ეცადონ, პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების გამოკვეთას.

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

◎ აღშფოთება

# ბინძური ხელები თქვენკენ მიიბრუნეთ!



გასული საუკუნის მიწურულს, როდესაც ჯერ კიდევ ღვთის მოძულე ხელისუფლება მძლავრობდა, 170-ათასიან უეკლესიო ქალაქში, საქართველოს ეროვნულმა გმირმა, მაშინ რუსთავის ქალაქკომის პირველმა მდივანმა ჟიული შარტავამ წმინდა საყდრის მშენებლობა წამოიწყო, მაგრამ არ დააცალეს. შემდეგ მისმა შემცვლელმა თემურ ხაზარაძემ ეს საქმე კეთილად დააგვირგვინა, ააშენა იმ დროისთვის ერთ-ერთი საუკეთესო ტაძარი, წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესია და ათასობით ადამიანს გაუჩინა სამლოცველო.

მოგეხსენებათ, კეთილი საქმე გადამდებია და იმავდროულად გარდაბნის რაიონის იმჟამინდელმა თავკაცმა ოთარ ბოკერიამაც წამოიწყო ტაძრის მშენებლობა. დღეს ეს ტაძარი მართლაც რომ ბრწყინვალეა ამ რაიონში და მოსულს შორიდანვე ეხმიანება.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ხდებოდა. მე, იმ დროს, როგორც საქართველოს ტელე-რადიო კომიტეტის კორესპონდენტს, ხშირად მიხდებოდა მასთან შეხვედრა და ვხვდებოდი, რა რუდუნებით, სიყვარულით ზრუნავდა ამ დიდი საერო საქმისთვის... და განა მარტო რუსთავსა და გარდაბანში. ქვემო ქართლის ყველა კუთხეში წვდებოდა ერის სულიერი მოძღვრის მზრუნველი ხელი. საქართველოს ამ კუთხეს, ქვეყნის აღმოსავლეთის კარიბჭეს ძალიან გაუჭირდა, უხმობდა ქართულ სულიერებას, ქართულ სიტყვას, ქართულ ყოფას.

და აი, ახლა, როდესაც ქართული ეკლესიის წინააღმდეგ, მისი სულიერი წინამძღოლის გასათელად ქუჩაში რომ გამოვიდნენ ვინმე თუთბერიძის ლიდერობით, არა თუ გონიერნი, თვით ბრიყვნიც კი ხვდებიან, რომ საქმე გვაქვს ერის წინააღმდეგ დიდ შეთქმულებასთან, ასე რომ არა, ეს თუთბერიძე და მისი დამქაშები ვერ გაბედავდნენ ასე სააშკარაოზე გამოსვლას.

დღეს ყველამ იცის, რომ ეს ერის სულიერი წინამძღოლი კი არა, მთლიანი ქართველობის, მისი კულტურის, მისი ისტორიული ტრადიციებისა და ყოფის გასათელადაა მიმართული.

საქართველო არ დაუშვებს მისი ძირძველი რწმენის ამოძირკვასა და გათელვას.

ბინძური ხელები თქვენკენ მიიბრუნეთ!

**გივი ჯახუა**

◎ პროტესტი

# დაიცავი საკუთარი თავი! დაიცავი წარსული! დაიცავი მომავალი! დაიცავი საქართველო!



**ძალიან გთხოვთ, ერთი წუთითაც არ იფიქროთ, რომ ამ სათაურით, რომელიმე ნახევრად პოლიტიკურ მოძრაობას ვუწევდე რეკლამას.**

უბრალოდ, ამ ოპოზიციამაც (როგორც ხელისუფლებამძ, ყველა დასახელება გააფუჭა და „გაადეშოვკა“ (მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ არ მაქვს მხედველობაში.ძ.

ამიტომ ისევ თქვენთან ვიხდი ბოდიშს, ჩემო ძვირფასო მკითხველო, იმის გამო, რომ ამ ჩემი წერილის სათაურით, თუ რაღაც არშემდგარი მოძრაობის ასოციაცია გამოვიწვიე.

ამ წერილში არც თეა თუთბერიძეზე და არც იმ „ადამიანებზე არ ვილაპარაკებ, რომლებიც მას „მხარში უდგანან“.

არ ვილაპარაკებ, რადგანაც მათზე ძალიან ბევრი რამე დაიწერებოდა ყვითელ პრესაში და ითქმებოდა ანალოგიური ფერის „თოკ-შოუებში“ (გთხოვთ ნება მომცეთ დავაზუსტო: — „ცისფერში“ კი არა, „ყვითელში“ძ.

და კიდევ ერთი რამ მინდა გთხოვოთ: თუ შეიძლება მაიკლ კორლეონეს სინდრომად არ ჩამომართვათ, მაგრამ ამ იმბეცილებზე საუბარი, ჩემს ინტელექტს შეურაცხყოფს.

ყურადღებას გადაცემა „პროფილიდან“, „საკანში“ გამოქცეულ იმ ხალხზეც არ გავამახვილებ, რომლებიც თან ამ ხელისუფლებას ეტენებიან და თან „აღშფოთებულნი“ ამხელენ მათს ბინძურ საქმეებს (აუუუ, არადა რა მაგარი „ცნობადი მარიაჟები“, უკაცრავად, „ცნობადი სახეები“ არიანძ.

მათზე ნამდვილად არ ვისაუბრებ, რადგანაც ამით არა მარტო ჩემს, თქვენს ინტელექტსაც მივაყენებ შეურაცხყოფას.

უბრალოდ ვიკითხავ: — რა გააკეთეს იმ ოპოზიციურმა, ეროვნული სულით განმსჭვალულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, როდესაც 235 კაცის ხელმოწერილი საზიზღარი წერილი, ლევან რამიშვილის ამფსონმა, სოლარიუმში შეტრუსულმა, უეროვნებო და ურწმუნო არსებამ, თავისნაირებთან ერთად საპატრიარქოში მიიტანა?

ამ საზიზღარ ქმედებასთან დაკავშირებით ერთადერთმა ჯონდი ბაღათურიამ გააკეთა აბსოლუტურად სწორი და ყველა ქართველისთვის ღირსეული განცხადება.

მან ზუსტად შეაფასა როგორც შემსრულებლები, ასევე მათი შემკვეთები და ყველას თავისი სახელი დაარქვა.

შალვა ნათელაშვილმა, ამ უაღრესად საჭირბოროტო დროს, გუგავას წააკითხა თავისი დაწერილი ტექსტი (ალბათ მისი აზრით სალარო აპარატები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენს სულიერ მამაზე თავდასხმაძ.

კუკავა და ცაგარეიშვილიც კაცურად მოიქცნენ.

კი მოიქცნენ კაცურად, მაგრამ შედეგი?

დანარჩენები სად იყვნენ?

იმ დანარჩენებს თავი დავანებოთ და ჩვენ, ქართველები რას ვაკეთებთ ამ დროს?

რას ვაკეთებთ?

რა, გიგი წერეთლის მიერ გაკეთებულ „პალიროვკას“ ვეთანხმებით?

კარგით რა, ხალხო!

არ დაგიმალავთ და როდესაც ეს ინფორმაცია გავიდა ტელეკომპანია „მაესტროს“ეთერით, რამდენიმე მეგობარმა დამირეკა და მითხრა, რომ აპირებდნენ შვილებთან ერთად „მაესტროში“მისვლას და თავიანთი პოზიციის დაფიქსირებას.

სამწუხაროდ, მცირე საუბრის შემდეგ ყველამ აღიარა, რომ არ ჰქონდათ თავიანთი აზრის, თავიანთი პოზიციის, თავიანთი პროტესტის ეთერში გაშვების იმედი.

ეს კი სულ ცოტა ხანში, „პროფილიდან“ წამოსულმა ცნობადმა სახემ, თავისი „ტოლერანტული გამოსვლით“ ნათლად დაგვანახა.

რატომღაც გავრცელდა აზრი, რომ „პატრიარქს არ სჭირდება დაცვა“.

მაპატიეთ, მაგრამ ვერ გავიგე.

რას ნიშნავს „პატრიარქს არ სჭირდება დაცვა“.

რა, საქართველოს არ სჭირდება დაცვა?

რა, ჩვენს ჯიშს, ჯილაგს, ჩვენს სარწმუნოებას, ჩვენს მეობას, ჩვენს შვილებს, ჩვენს აწმყოსა და მომავალს არ სჭირდება დაცვა?

სჭირდება!

აუცილებლად სჭირდება!

სჭირდება და უნდა დავიცვათ!

უნდა დავიცვათ, თუ გვაქვს ამის უნარი, თუ გვაქვს ამის ძალა და ბოლო-ბოლო, თუ გვაქვს ამის თავი!

თუ არა გვაქვს, მაშინ...

მაშინ, „მაგარი დაგვერხა“.

მაპატიეთ ამ ჟარგონისთვის, მაგრამ ახლა აღარ არის ლიტერატურული და კორექტული „პალიროვკების“ დრო.

მეტი რა ვთქვა?

რას ნიშნავს „პატრიარქს არ სჭირდება დაცვა?“

რა, იმ ღვთისმშობლის ხატს სჭირდებოდა დაცვა, რომელსაც 100 000-მა ქართველმა ფეხი არ დააბიჯა?

ახლა არ მითხრათ, ღმერთი ყველას დასჯისო.

გეთანხმებით.

დასჯის, მაგრამ ჩვენ რა გავაკეთეთ?

ჩვენ რა პასუხი უნდა გავცეთ ჩვენს შვილებს, ჩვენს მშობლებს, ჩვენს ნათესავებს, მეგობრებს, მეზობლებს, ახლობლებს?

უნდა ვუთხრათ, რომ იმმანქურთებზე გადმოსულ ღვთის რისხვას ველოდებოდით?

ეს ხომ ჩვენს თავზე გადმოსული ღვთის რისხვაა!

„პალიროვშჩიკობაზე“ მეტი დასჯა რა უნდა იყოს?

სამწუხაროდ, ეს ე.წ. „ტოლერანტობის“ გამოვლენა, ხალხის რისხვის, ხალხის აღშფოთების ჩახშობის ერთ-ერთი მეთოდია.

სამწუხაროდ, ჩვენც წამოვეგეთ ამ ანკესზე.

კარგით, ამ პროპაგანდას თავს დავანებებ და მცირე ანალიზს გავაკეთებ.

მინდა იმ იმბეცილებს ვკითხო: — თქვენ ხომ არა ხართ ჩვენი მართლმადიდებლური ოჯახის წევრები, თქვენ ხომ თქვენი საკუთარი, ინტიმური რელიგია და რწმენა გაგაჩნიათ?

ჰოდა, რას „გვეკვეხებით“?

რა, დაგავალეს, რომ სანამ მართლმადიდებლობა იქნება საქართველოში, მანამ გუანტანამოს ციხეს ვერ გადმოიტანთო? (ამ „გუანტანამოს ციხით“მთელი ის ნაძირალური მსოფლმხედველობა ვიგულისხმე).

ახლა არ მითხრათ არაო.

თანაც კარგა გვარიანი თანხაც გადაგიხადეს (ცხადია, რომ გადაგიხადეს, თორემ ის ჭიაყელა ცირკთან დგომით ნამდვილად ვერ შეაგროვებდა იმ წითელი მანქანის საყიდელ თანხასძ.

არადა, ეტყობა იმდენი გადაგიხადეს, რომ სააკაშვილისაც არ გეშინიათ.

გინდათ დაგენიძლავებით, რომ სააკაშვილი თავისი ტელეარხებით მაგრად მიგტუქსავთ.

მიგტუქსავთ ორი მიზეზის გამო.

პირველი — ეგ ხომ ორი წელი „კგბ“-ს (ანუ „სუკის“ძ ჯარებში მსახურობდა, ჰოოოოდა მაგათთან „ყოფილი მოსამსახურეები“ არ არიან.

მეორეც: — მიგტუქსავთ და კარგ ქულებსაც დაიწერს ხალხის თვალში (რა გიგი წერეთლის კომენტარი არ მოისმინეთ? გიგიმ ხომ თავისი „პალიროვშჩიკობით“ საკუთარი თავი დაიზღვია. ე.ი. იმ თქვენს თანამოძმე წიკლაურზე უფრო ჭკვიანია. არადა ეს წიკლაური ზვიად გამსახურდიას მომხრე, ანუ ეროვნული აზროვნების კაცი შეიძლება ეგონოს ვინმესძ.

ვაი იმათ, ვისაც თქვენი იმედი აქვს!

სხვათა შორის, ამ წერილსაც წაიკითხავენ თქვენი საქმიანობის შემკვეთები და მიხვდებიან, რა ტყუილად ყრიან ფულს.

ტყუილად ყრიან, იმიტომ, რომ თავიანთვის ძალიან ცუდ, ანუ ასინეთასი არ იყოს, „უკულმა“ შედეგებს ლებულობენ (ისე, ასინეთას გაკეთებული საქმე რა ვთქვი მეძ.

არადა, უსინდისო ვიყო, მართლა მტკივა თქვენი თავი.

მართლა მწყდება გული, რომ ასე გაგწირათ ღმერთმა და პირველ რიგში გონება წაგართვათ.

დედას გეფიცებით, მართლა მწყდება გული თქვენზე!

იქნებ გეშველოთ რამე, ა?

**გია გაბრიჭიძე**

ქვეყნის ჭირი

# ძროხა დაუმარხავი დამრჩა, სახლი დანგრეული...

## დამსახურებული მასწავლებლის წერილი სოფელ ხვითიდან

*პოლიტიკური მოტივებით დაპატიმრებულ მამაჩემს, მწერალს, მწიგნობარსა და საზოგადო მოღვაწეს აკაკი წერეთელს ათი წლის ციხე-კოლონიის საშინელი ტანჯვის შემდეგ მისჯილი ჰქონდა თბილისიდან გასახლება და „მოწყალე“ მთავრობის მიერ უფლება ეძლეოდა ეცხოვრა თბილისიდან 100 კილომეტრის დაშორებით.*

*ამ მიზეზით ჩემს ოჯახს მოუწია ოთხი-ხუთი წელი უძველეს და ულამაზეს ქალაქ ცხინვალში ეცხოვრა.მეც მე-8-10 კლასებში მაშინ ქებულ ცხინვალის №1 ქართულ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. იქ ქართულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა ახალგაზრდა პედაგოგი დიმიტრი გოგიშვილი. დღემდე კარგად მახსოვს, რომ იგი იყო ძველი განმანათლებლების ტიპის სახალხო მასწავლებელი, ქართული ლიტერატურის ღრმა მცოდნე, საგნის მართლა უბადლო ამხსნელი, ახალგაზრდობის მოსიყვარულე ღირსეული პიროვნება. მისი სახელი დღემდე არავის არ ავიწყდება არამარტო ცხინვალსმიკრულ სოფელ ხვითსა და ნიქოზში, არამედ უხეში ძალით ოკუპირებულ ქალაქ ცხინვალში. ჩვენი ქვეყნის დამსახურებული მასწავლებლის, ორდენოსნის, ამაგდარი პედაგოგის მოსწავლეები ჩემს გარდა იყვნენ ცნობილი მწერალი მერაბ ელიოზიშვილი, პოეტი და ქართულიდან ოსურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი გიორგი ბესტაევი, დამსახურებული ჟურნალისტი გივი თედეევი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნოდარ ზადიშვილი, ნიჭიერი ჟურნალისტი სიმონ ოგანოვი, თადარიგის გენერალ-მაიორი გობრონ წერეთელი და მრავალი სხვა.*

*ეს პატარა შესავალი წერილი იმიტომ დავწერე, რომ ამ დღეებში ცხინვალს მჭიდროდ მიკრული სოფელ ზემო ხვითიდან მომივიდა დამსახურებული მასწავლებლის, 85 წლის დიმიტრი გოგიშვილის წერილი მიმდინარე წლის გიორგობის წმინდა დღესასწაულის დღეს, 23 ნოემბერს დაწერილი.*

*მე სულხორციანა შემძრა უკვე მოხუცებული მასწავლებლის წერილმა და იმიტომაც ვთხოვე ჩვენს პოპულარულ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას მასწავლებლის წერილის გამოქვეყნება, რომ ვისაც საკითხი ეხება და ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლია, აუცილებლად მიაქციონ ყურადღება ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურების მქონე დამსახურებითა და მოღვაწეობით გამორჩეულ 85 წლის დიმიტრი გოგიშვილის თხოვნას.*

**ნუგზარ წერეთელი**

ბატონო ნუგზარ!

ამას თქვენი ყოფილი მასწავლებელი დიმიტრი გოგიშვილი გწერთ. მეძნელებოდა, ძალიან მეძნელებოდა თქვენი შეწუხება, თუნდაც ამ საცოდავი წერილით, მაგრამ გავბედე თქვენი კეთილშობილების გამო, რომ აქაური ამბები, ჩემი მდგომარეობა გაგაცნოთ — მაშინ, 7 აგვისტოს, დილის 6 საათსა და 30 წუთზე, ჩემი სახლი დაიბომბა. მე ვცხოვრობ სოფელ ზემო ხვითში. ეს სოფელი ნიქოზთან მიბმული სოფელია. ცხინვალთან მიბმულადაც შეიძლება ჩაითვალოს. თვითონ მე, როგორც იტყვიან სასწაულად გადავრჩი, ჭურვი არ მომხვედრია, დავიჭერი მინის ნამსხვრევებით, შემერჭო ბეჭებსა და ფეხებში. ჭურვის ნამსხვრევმა დაანგრია 20 მეტრი სიგრძის კედელი ბლოკისა, მოსპო ხეივანი ერთი ნაწილი. დალეწა კარები და ფანჯრები, ჩამოანგრია სამზარეულოს კედლები, გაფატრა ეზოში დაბმული ძროხა და ძაღლი, დალეწა მაცივარი, ტელევიზორი და ბევრი სხვა რამ. ომის განმავლობაში ვიმყოფებოდი სოფელში 12 აგვისტომდე.



განსაკუთრებით გამიჭირდა ძროხის დამარხვა. ხუთი დღე ის ეზოში ეგდო, დამმარხავი არავინ იყო და აყროლებული სხეული სწამლავდა მიდამოს. ძლივძლივობით, როგორც იყო, მივაბარე მიწას. სათანადო კომისიამ ჩათვალა, რომ სახლი ნამდვილად შესაკეთებელი იყო. ცოტა რამ მართლა შეაკეთეს, სახურავი შეცვალეს, კარები და ფანჯრები გამოცვალეს. ეს იყო ეს! კარები და ფანჯრები ფარღალალაა და ოთახში ცხოვრება შეუძლებელია. სამზარეულო და გამონგრეული კედლები არ ამოუშენებიათ. წუწუნი არ მიყვარს, მაგრამ მდგომარეობა დღემდე ასეთია, არც არავის ვუჩივი, მხოლოდ კუთვნილ დახმარებას ვთხოულობ.

პირადად მე არ შემიძლია თბილისში ვიარო და საჩივარი საჩივარზე ვწერო.

თუ ჩემს უდიდეს გაჭირვებას თქვენს ვაჟს, ბატონ გიგის გადასცემთ, ამას დიდზე დიდ მადლად მივიღებ. მით უმეტეს, სოციალური საკითხების გადაწყვეტა მთელს ქვეყანაში ხომ მას აბარია.

ზამთარი მოდის, დაპირებები არის, მაგრამ გამკეთებელი ჯერ კიდევ არავინ ჩანს. ფულადი კომპენსაცია რომ მაინც მოეცათ, იქნებ როგორმე მომეგვარებინა სასიცოცხლოდ აუცილებელი პრობლემები. ესეც არ ჩანს. სიკვდილის პირას მისულიც კი უნუგეშო მდგომარეობაში ვარ ჩავარდნილი.

კიდევ გიმეორებ, ჩემო ბატონო, რომ არა ასეთი მძიმე მდგომარეობა, ვერა და ვერ გავბედავდი თქვენს შეწუხებას, კიდევ ზედმეტი საწუხარის შემომატებას.

დამილოცნიხართ თქვენი დიდი ოჯახით. გიორგობის მადლით, არ მოგაკლდეთ შემწეობა, ბატონ ნუგზარ.

ერთ რამეს ვინატრებდი — თქვენ და ჩემი ყოფილი მოსწავლეები მენახეთ ზემო ხვითში. მშვიდობისა და გაერთიანების დღეები დამდგარიყოს მრავალჭირნახული საქართველოსთვის. მხოლოდ იმედით ვცოცხლობ.

**ულრმესი პატივისცემით**

**დიმიტრი გოგიშვილი,**
თქვენი მასწავლებელი
23.11. 2009წ.

***P. S.* *ვინაიდან ცნობილი მასწავლებლის პრობლემა ერთი პიროვნების გადასაჭრელი არ არის, ამ მიზნითაც ქვეყნდება ეს პატარა წერილი გაზეთში, რათა შეერთებული ძალით ადამიანურად როგორმე მოგვარდეს ქვეყნის დამსახურებული მასწავლებლის ცხოვრებისმიერი და ქვეყნისმიერი გაჭირვებით გამოწვეული თხოვნა.***

***ნ. წ.***

# ახალი მსხვერპლი – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. რიგში დგას ბათუმის უნივერსიტეტი!

ქ. ბათუმში ოთხი სამუსიკო სკოლის დახურვისა და შენობათა გასხვისების შემდეგ, ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჯერიც დადგა. ჩვენი აზრით, ეს ცოტათი ადრე იყო მოსალოდნელი, რადგან ინსტიტუტის შენობა (ნინოშვილის ქ. №23ძ ზღვისპირა ბულვართან დგას და ამ ადგილისათვის დიდი ხანია თვალი აქვთ დადგმული. ახლა კი მისი ლიკვიდაციის საფრთხე კიდევ უფრო გათვალსაჩინოვდა. თავად „რეფორმატორები“ ძალიან შენიღბულად მოქმედებენ, მაგრამ შუბი ხალთაში ვის დაუმალავს?! ოფიციალურად დაისვა საკითხი ინსტიტუტის უნივერსიტეტთან შერწყმის შესახებ. პროექტი ითვალისწინებს უნივერსიტეტის „ობშეჟიტიაში“ გასახლებას. რა ბედი ეწევა ახლანდელ შენობას — გასაიდუმლოებულია.

სარწმუნო წყაროებით, ამას ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერებიც ადასტურებენ, ინსტიტუტის საშტატო განაკვეთები და 2010 წლის ბიუჯეტი უნივერსიტეტს გადაეცემა. სიახლე ისაა, რომ ინსტიტუტის ორასიათასლარიანი ბიუჯეტი, ოციათასი ლარით შემცირდება. სამწუხაროა, რომ ამას ჩვენი განათლებისა და მეცნიერების მამები „ოპტიმიზაციას“ ეძახიან. მაშინ, როცა თავად უნივერსიტეტი ფინანსურად სულს ღაფავს. შარშანდელი სასწავლო წლის ხელფასები მოწვეულ პროფესორებზე ჯერაც გაუცემელია. რაც შეეხება უნივერსიტეტის შენობას, ისიც ბათუმის ბულვარის მიმდებარედ, ნინოშვილის ქუჩის 35 ნომერშია, დადის ხმები, რომ დიდი ხანია თვალი აქვთ დადგმული ე. წ. „შავი ზღვის უნივერსიტეტის“ პატრონებს. მათ წარმომადგენლებს უკვე დაუთმეს ორი ოთახი ბათუმის უნივერსიტეტში. ეს პრობლემები საუბრის სხვა თემაა და უახლოეს მომავალში მოეფინება ნათელი. დავუბრუნდეთ კვლევით ინსტიტუტს. იგი 1958 წელს შეიქმნა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა თაოსნობით. ხუთი ათეული წელია აქ მიმდინარეობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და არა მხოლოდ აჭარის ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და დიალექტის პრობლემების კვლევა და ფასდაუდებელი სამსახური გაუწია სამამულო მეცნიერებას. მისი ღვაწლი იმდენად თვალსაჩინოა, რომ აქ უადგილოდ გვეჩვენება ამაზე საუბარი. მიუხედავად დიდი დამსახურებისა, ვარდოსანმა ჩინოვნიკებმა იგი 2006 წელს გამოიყვანეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობიდან და სოროსისტ კ. ლომაიას სამინისტროს ჩააბარეს.

ამ დღეებში „ქართული აკადემიის“ აჭარის წარმომადგენლობაში გვსტუმრობდნენ ინსტიტუტის თვალსაჩინო მეცნიერ-თანამშრომლები, რომლებიც შეწუხებული არიან მოსალოდნელი კატასტროფული შედეგებით. ზოგმა მათგანმა თბილისში, სათაო ოფისსაც მიაკითხა, რათა „ქართულმა აკადემიამ“, რომელიც დაფუძნებულია გამოჩენილ მეცნიერთა და ხელოვნების მუშაკთა მიერ, ხმა აღიმაღლოს ამ ანტიეროვნული აქციის წინააღმდეგ.

ჩვენმა თვალსაჩინო მკვლევარმა ვახტანგ შამილაძემ გვითხრა: „მე ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების პირველივე დღეებიდან ვარ მისი განუყრელი წევრი და მაქვს უფლება მქონდეს ჩემი შეხედულება. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტსა და პროფესორს უნდა ეკითხებოდნენ რეგიონში მეცნიერების განვითარების ბედ-იღბალზე. სამწუხაროდ, ჩვენ ამის ღირსადაც არ ჩაგვთვალეს. საქმე ეხება ინსტიტუტის „ინტეგრაციას“ ბათუმის უნივერსიტეტთან, რაც, ჩვენი აზრით, მექანიკური მიერთების ტოლფასია და არა ორგანული, მიზნობრივად გამართული შერწყმა“.

ბატონმა ვახტანგმა დააფიქსირა ამ გაუმართლებელი გადაწყვეტილების საწინააღმდეგო რამდენიმე ობიექტური არგუმენტი:

„მე უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი გახლავართ და კარგად ვიცნობ მის სტრუქტურას, იქ გატარებული „რეფორმების“ დონეს, არსს, რაობასა და, სამწუხაროდ, შემიძლია პირდაპირ ვაღიარო, რომ იგი ჯერ კიდევ შორსაა ბოლონიის პროცესთან საბოლოო ზიარებისაგან. პირდაპირ უნდა ითქვას, უნივერსიტეტს არ გააჩნია სათანადო ინფრასტრუქტურა ასეთი დონის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერთებისა და მისი გაძღოლისათვის. პირველ რიგში, იკარგება სიმწრით გამოზრდილი პროფესიონალი სამეცნიერო კადრების დიდი ნაწილი. ფაქტობრივად, დასაღუპავადაა განწირული ჩვენთან შექმნილი და დაცული უნიკალური ფონდები — ჩვენი კულტურისა და საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, სრულიად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ფასდაუდებელი საგანძური. უნივერსიტეტის ფარგლებში ნაგულისხმევი ინსტიტუტი თავისი მეცნიერული პოტენციალით ვერა და ვერ შეასრულებს იმ დიდ ეროვნულ საქმეს, რაც ჩვენი რეგიონისა და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქართული მოსახლეობის ყოფისა და კულტურის შესწავლასა და გაანალიზებას ითვალისწინებს. ბუნებრივია, ჩვენი აფხაზი და ოსი კოლეგები, ისე როგორც კავკასიის სხვა ხალხთა წარმომადგენლები, დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს ჩვენი სამეცნიერო ცენტრებისა და ცნობილი მეცნიერებისადმი მთავრობის მიერ გამოჩენილ გულგრილობას. შეგვიძლია სხვა ფაქტორებზეც მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენს აზრს, როგორც ჩანს, ზემოთ არავითარ ანგარიშს არ უწევენ“.

ბატონი ვახტანგის ამ დასკვნის საბუთიც სახეზეა. მხედველობაში გვაქვს 17 ნოემბრის გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებული ინსტიტუტის 53 მეცნიერ-თანამშრომლის ღია წერილი, რომლის ადრესატი საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელია.

ეს მძაფრი ტრაგიზმითა და ეროვნული პრობლემებით დამუხტული წერილი ავტორთა ზნეობრივი სიწმინდის, კორექტულობისა და სახელმწიფოს უმაღლესი ინსტიტუტებისადმი გაუგონარი პატივისცემის ნიმუშია. მიუხედავად ამისა, როგორც ჩვენი ერის უგვირგვინო მეფე ილია ჭავჭავაძე ერთგან ამბობს: „არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!“ ისიც ფაქტია, რომ აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან მიღების ინსტიტუტი საერთოდ აღარ არსებობს.

გვინდა საზოგადოებრიობას ისიც შევახსენოთ, რომ ჩვენს კვლევით ინსტიტუტს დახურვის საფრთხე ვირეშმაკა ნიკიტა ხრუშჩოვის დროსაც შეექმნა, მაგრამ მაშინ იგი ქართველი ინტელიგენციის მხარდაჭერამ იხსნა განსაცდელისაგან. ის ბოზოქარი სულისკვეთება ნაცმოძრაობამ საგულდაგულოდ ჩარეცხა. ამიტომაცაა, რომ საქართველოში ბნელა.

სამამულო მეცნიერების სამსახურში დამაშვრალი ადამიანები უაღრესი გულისტკივილითა და თანაც შესაშური კორექტულობით საუბრობენ ხელისუფლების მიერ „რეფორმის“ ნიღბით ქართული სულიერების ნგრევის შესახებ. ერთერთ ტელეარხზე თავად პრეზიდენტმა სააკაშვილმა მსუბუქად განაცხადა, რომ განათლების რეფორმამ არ გაამართლა. საკითხავია, რომელმა გაამართლა? ამაში მის მიერ „ჩატარებული“ სასამართლოს რეფორმაც იგულისხმება, რაზედაც დუხჭირ დროში 5 მილიონი ლარი დაიხარჯა. რაც შეეხება ე. წ. „განათლების რეფორმას“, იგი საქართველოს და ქართული ეთნოსის მტრების წისქვილზე უფრო უშვებს წყალს, რომელიც სოროსისა და ალენ დალესის დოქტრინის ჩარჩოში თავსდება და არაფერი აქვს საერთო ქართველი ხალხის ინტერესებთან. მართალია, ბატონმა სააკაშვილმა განაცხადა, განათლების რეფორმამ არ გაამართლაო, მაგრამ არაფერი წამოცდენია მის ეროვნულ კალაპოტში ჩასაყენებლად. ქართველი ერის სულიერების ინსტიტუტების ნგრევა გრძელდება. ამისი მსხვერპლია ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, რიგში დგას ბათუმის უნივერსიტეტი, რომლის მაღალმთიანი შუახევის რაიონის სოფელ ხიჭაურის უნივერსიტეტთან შეერთების რისკ-ფაქტორი ძალიან დიდია. ამ თემაზე უახლოეს მომავალში გვექნება საუბარი.

**„ქართული აკადემიის“**
**აჭარის წარმომადგენლობა**
ქ. ბათუმი, 30 ნოემბერი, 2009 წელი

წლები

*ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲐᲓ ნურვინ ჩამითვლის, მაგრამ თანამედროვე საქართველოში მართლაც იშვიათია ადამიანი, ისეთი მდიდარი, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ცხოვრებით ეცხოვროს და ეღვაწოს, როგორც ბატონ ᲠᲝᲘᲜ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲡ, ისეთი ბიოგრაფია ჰქონდეს, წარსულს, აწმყოსა და მომავალს რომ აერთიანებ-ავსებს, ყველა დროისა და განზომილებისთვის ისეთი სამაგალითო იყოს, როგორიც მისია.*

*ამ საღსალამათ კაცს, გონებითა და ენერგიით სავსეს, მრავალმხრივ ღირსეულ-გამორჩეულ პიროვნებას სამოცდაათი წელი შესრულებია. შესრულებიაო, ერთგვარი გაკვირვებით და გაოცებით იმად ვამბობ, რომ ალბათ ნებისმიერს ვინც ბატონ რონინს ახლოს არ იცნობს, მაგრამ კი ხედავს, როგორი ახალგაზრდული შემართებით იღვწის ეს ადამიანი, იგი ბევრად ახალგაზრდა ეგონება. და ბევრად არც შეცდება — ბატონი რონინი როგორც მოღვაწეობით, ისე სიცოცხლის ხალისსიყვარულითაც ზენიტშია — ცხოვრების შუადღეა მისი დღევანდელობა... და რაკი საიუბილეო დღეებია და 7 დეკემბერს ბატონი რონინი 70 წლისა გახდება, კიდევ ერთხელ გავყვეთ გონების თვალით რონინ მეტრეველის ცხოვრების გზას — მისი განვლილი წლები ხომ სავსეა სირთულეებითაც და დიდი წარმატებებითაც.*

# ერის ისტორიას მიყურადებული...

## რონინ მეტრეველი — 70

ᲘᲥᲜᲔᲑ ოდნავ პოეტურადაც გამომდის, მაგრამ ასეა — დედისერთა ობოლმა ბიჭმა იმთავითვე იგრძნო-შეითვისა შრომისა და სწავლის ფასი — მისი ახალგაზრდა მამა, ვიქტორ მეტრეველი, ომიდან ნაიარევი, ჭრილობებმოუშუშებელი დაბრუნდა და... ადრე დაემშვიდობა თავის ერთადერთ ვაჟს და ერთგულ მეუღლეს ქალბატონ ნინოს...

დედის სიყვარულმა, მამის ხსოვნისა და მისი უახლოესი ნათესავების პატივისცემამ რონინ მეტრეველს ჯერ კიდევ მოსწავლეობისას ბევრი შესანიშნავი საქმე აკეთებინა — ფრიადოსანი ყმაწვილი სკოლაში და ქალაქში გამართულ ლამის ყველა საინტერესო ღონისძიებებში იყო ჩაბმული და ხელმძღვანელობდა კიდეც ყველა მოსწავლე-ახალგაზრდულ ორგანიზაციას, ინიციატორი იყო ხელოვნებისა და სპორტის სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების... ქუთაისში სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა და უმალ, პირველი კურსიდანვე გახდა ნამდვილი უნივერსიტეტელი...

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, ახალგაზრდულ-სტუდენტური ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, სპორტულ-კულტურული ღონისძიებების ჩატარება... ამის პარალელურად, უკვე სტუდენტობისას, თავის სათაყვანებელ ლექტორებთან, განსაკუთრებით პროფესორ შოთა მესხიასთან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით არის დაკავებული. სამშობლოს ურთულესი და საინტერესო ეპოქის — დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქების შესწავლითაა გატაცებული და უკვე სტუდენტობის დროს არაერთი სამეცნიერო სტატიისა თუ გამოკვლევების ავტორია.

აქვე საგანგებოდ უნდა ითქვას ერთი რამეც: ყოფილ საბჭოთა კავშირში იშვიათი შემთხვევა იყო, რომ ჯერ კიდევ V კურსელი სტუდენტი კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად აერჩიოთ. ასეთი მხოლოდ რონინ მეტრეველი იყო. შემდეგ კი (და ვგონებ, ესეც პირველი შემთხვევა იყო) უკვე პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველაზე მთავარი — საორგანიზაციო განყოფილების გამგედ დანიშნეს.

ამ თანამდებობებთან დაკავშირებით, ერთი რამ მინდა გავიხსენო, რომელიც აკადემიკოს რონინ მეტრეველის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად არჩევის დროს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში აღვნიშნე, რა თქმა უნდა, იუმორით, და ზოგიერთის გასაგონად ახლაც მსურს გავიმეორო: საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს რობესპიერი და მარატი კამათობდნენ, ექიშპებოდნენ ერთმანეთს... ერთხელაც მარატმა საჯაროდ წამოაძახა — რობესპიერმა, ახლა რომ მეფის წინააღმდეგ არის შემართული, გიმნაზიაში სწავლისას ლუდოვიკოს ლექსი მიუძღვნაო!

რობერსპიერმა ჩაიცინა და უპასუხა — ბავშვობისას მე სახვევებსაც ვასველებდიო...

...შემდეგ ბატონი რონინი კვლავ სამეცნიერო საქმიანობას დაუბრუნდა, შეიძლება ითქვას, მთლიანად ჩაება მის ფერხულში. და აქაც, როგორც ყველგან და ყოველთვის, კვლავ „რეკორდსმენი“ გახდა. მან თანატოლთაგან თითქმის ყველაზე ადრე დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენლებიდან ყველაზე ახალგაზრდა აკადემიკოსი გახდა და, რაც მთავარია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთაგან ყველაზე ხანგრძლივად, 13 წლის მანძილზე, მუშაობდა ამ საპატიო თანამდებობაზე...

მაგრამ, ჩემდა უნებურად, მოვლენებს გავუსწარი. ამიტომაც უთუოდ უნდა ითქვას, რომ ბატონ რონინ მეტრეველს ლომის წილი მიუძღვის ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შექმნასა და გამოცემაში. იგი წლების მანძილზე გვერდს უმშვენებდა დიდებულ ირაკლი აბაშიძეს, მისი მოადგილე გახლდათ ენციკლოპედიაში და ყველა პრაქტიკულ სამუშაოს ასრულებდა. ენციკლოპედიის შემდეგ, ბატონი რონინი თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს და იქაც დღემდეა შემორჩენილი მისი მოღვაწეობის კვალი ნათელი...

ხოლო რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაწეულ მის მუხლჩაუხრელ შრომასა და სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას, საერთაშორისო ურთიერთობების დამყარებას ევროპისა და მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე საუნივერსიტეტო რეფორმების ჩატარებას, რაც პირველად მოხდა ჩვენს ქვეყანაში, ახალი მიმართულებების, ახალი მეთოდოლოგიის და, საერთოდ, არაერთი სიახლის დანერგვას, ამაზე არამცთუ დაწვრილებით საუბარი, უბრალოდ ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს. არც არის საჭირო, რადგან ეს ისედაც კარგად იციან ძველმა უნივერსიტეტელებმაც და მთელმა საზოგადოებამაც.

ამ ბოლო წლებში, ბატონ რონინს, ისედაც უამრავი ფუნდამენტური შრომისა და მონოგრაფიის ავტორს, კიდევ უფრო მეტი საზრუნავი გაუჩნდა: ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიაში მისი თაოსნობით არაერთ პროექტს თუ მიმართულებას ჩაეყარა საფუძველი... მეორე მხრივ კი, მისი ახალი მეცნიერული კვლევა-ძიების ობიექტში, მსოფლიო გლობალიზაციის კონტექსტში, მთლიანად კავკასია მოექცა და კავკასიოლოგიაში აკადემიკოს რონინ მეტრეველის შრომები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენი გახდა... ამიტომაც არის იგი ხშირი სტუმარი თუ მასპინძელი უამრავი საერთაშორისო სიმპოზიუმისა, სწორედ ამიტომ იბეჭდება მისი შრომები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ენაზე.

ათი წელი იმუშავა მეცნიერთა ჯგუფმა რონინ მეტრეველის ხელმძღვანელობით „ქართლის ცხოვრების“ ახალ გამოცემაზე. შარშან საზოგადოებამ მიიღო კიდეც ეს ახალი გამოცემა, რომლის მთავარი რედაქტორი რონინ მეტრეველია და რომელიც წინა, ს. ყაუხჩიშვილისეული ვარიანტისგან განსხვავებულია, გათვალისწინებულია ყველა მოსაზრება და შენიშვნა, რაც ბოლო სამოცი წლის მანძილზე გამოითქვა „ქართლის ცხოვრების“ მიმართ. ამასთან გათვალისწინებულია ყველა ძველი ნუსხის მონაცემები, მათ შორის მცხეთური (კლიმიაშვილისეული ვარიანტი) და, ამდენად, წინგადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენს წყაროთმცოდნეობაში.

მე, ამ მისალოცი, ერთი ამოსუნთქვით დაწერილი საიუბილეო წერილის ავტორი, რიგითი ისტორიკოსი-ეთნოგრაფი, ბუნებრივია, სრულად და ისე ვერ გავაანალიზებ იმ ნაშრომების როლსა და ადგილს თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც თანამედროვეობის გამოჩენილ მკვლევარს, აკადემიკოს რონინ მეტრეველს ეკადრება... ამიტომ უნდა შემინდოს მკითხველმა (და ყმაწვილკაცობის მეგობარმა, ბატონმა რონინმაც), ზოგიერთი შეცდომა თუ შეცოდება, მაგრამ რაცა ვთქვი და ქვემოთაც ვიტყვი, ყველაფერი გულწრფელია, ნაღდია და მხოლოდ სიყვარულმა, სიხარულმა, და მის გვერდში დგომით მოგვრილმა სიამაყემ გამაკეთებინა. ასე რომ, ვგონებ, მეპატიება კიდეც... ხოლო, რაც შეეხება, მის სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ამას, განსაკუთრებით ამ საიუბილეო დღეებში, ბატონი რონინის კომპეტენტური და ავტორიტეტული კოლეგები, ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები შეაფასებენ.

და ბატონი რონინის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის კიდევ ერთი, ახალი მიმართულება, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული... ეს გამორჩეული უმაღლესი სასწავლებელი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის თაოსნობით და მისი ლოცვა-კურთხევით დაარსდა. აკადემიკოსი რონინ მეტრეველი გახლდათ ერთ-ერთი პირველი კონსულტანტი მისი უწმინდესობისა ამ დიდი ეროვნული საქმის დაწყებისას და ამჟამად ერთ-ერთი ხელმძღვანელია ამ უმაღლესი სასწავლებლისა, თავის მრავალრიცხოვან აღზრდილებთან და კოლეგებთან ერთად დიდი ძალისხმევით ემსახურება მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდას...

და ბოლოს, ისღა დამრჩენია, ბატონი რონინის პიროვნული თვისებები შევახსენოთ საზოგადოებას... კაცი, რომელიც მუდამ იყო ჩართული დიდ სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ თუ სამეცნიერო მოღვაწეობაში, არასდროს არ ივიწყებდა და ივიწყებს მეგობრებთან, ახლობლებთან ურთიერთობას, იგი, სიკეთით სავსე და მდიდარი ინტელექტის პატრონი, ჭირსა თუ ლხინში მუდამ მათ გვერდშია, ხელოვნებისა და ლიტერატურის ტრფიალი იყო ყმაწვილობიდან და დღემდე შერჩა მის ხავერდოვან ხმას თხრობისა და ლექსის დიდოსტატურად გადმოცემის ხიბლი... აკადემიკოსს სუფრის აკადემიურად წარმართვაც შეუძლია და დახვეწილი იუმორის პატრონიც გახლავთ, არც ახალ მუსიკალურ თუ თეატრალურ პრემიერებს გააცდენს და ცნობილ მხატვართა გამოფენებსაც შეავლებს თვალს...

მაგრამ ბატონი რონინი მაინც სულ სხვაა თავის სანიმუშო ოჯახში... წარმომიდგენია, შვიდი დეკემბრის ცივ საღამოს იგი რომ სახლის კარს შეაღებს, როგორ ყველაფერი ერთიანად გათბება და განათდება. მას ხომ სახლში ცისარტყელასავით ლამაზი მრავალფეროვნება ელოდება — ერთგული, სათნო, კეთილი მეუღლე ქალბატონი ლუიზა, ენერგიული, გონიერი და უკვე თავიანთი საქმის წარჩინებული სპეციალისტი შვილები ნინო და ვიქტორი მეუღლეებით, შვილებით და, რა თქმა უნდა, ოჯახის ყველაზე „უფროსი“ წევრი, პაწია შვილთაშვილი.

აი, ასეთ ძვირფას ადამიანებთან ერთად ვულოცავთ დაბადების დღეს ბატონ რონინს. ჩვენც ბედნიერნი ვართ და ვამაყობთ, რომ მოწმენი გახლავართ ამ ლეგენდარული კაცის ცხოვრებისა. მისი ბიოგრაფია ხომ თვით ისტორიაა... ისტორია, რომელიც გრძელდება და კიდევ მრავალი წლის მანძილზე შეივსება ახალ-ახალი ფურცლებით...

წინ დიდი საქმეები გელით, ბატონო რონინ!

გილოცავთ დაბადების დღეს და კვლავაც წარმატებებს გისურვებთ!

თქვენი თაობის მეგობართა სახელით
**ᲝᲗᲐᲠ ᲛᲘᲛᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ.**



***ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲒᲐᲜ:** გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ მთლიანად უერთდება ზემოთ გამოქვეყნებული წერილის ავტორის პირუთვნელ შეფასებებსა და კეთილ სურვილებს, ბატონ რონინ მეტრეველის მიმართ გამოთქმულს, და თავის მხრივ სულითა და გულით ულოცავს ამ ჭეშმარიტად გამორჩეულ მეცნიერსა და პიროვნებას, ჩვენი გაზეთის ძველ მეგობარსა და ავტორს ფრიად და ფრიად სახელოვანი გზის კიდევ ერთი სიბრძნის მონაკვეთის მიჯნას, რომელსაც საერთო არცრა აქვს რა ჩვეულებრივ ხანდაზმულობასთან. ჯანმრთელად იცოცხლეთ, გაგიმარჯოთ, ძვირფასო ბატონო რონინ!*

საბანკო სფერო

# სახლებში მეტი სითბო იქნება...

**ენერგიის ეფექტიანად გამოყენება მუდამ მეტად აქტუალური საკითხი იყო. ყველა სახეობის ენერგიის ყაირათიანად გამოყენების რეზერვების მიგნებას ყველა თავისებურად ცდილობდა და ამჟამადაც ცდილობს: ენერგეტიკოსები უფრო მეტად ენერგოდამზოგავი ნათურების, ენერგოშემცველთა იგივე ოდენობის დანახარჯით მეტი სითბოს გამომყოფი ქურების შექმნასა და ა.შ. ცდილობენ, მომხმარებელი კი ზედმეტ ელექტროხელსაწყოებსა თუ ნათურებს თიშავს ბინაში... რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამ პრობლემას ამჟამად ბანკირებმაც მიაქციეს ყურადღება: ბოლო დროს ბაზარზე ახალი საბანკო პროდუქტი — ენერგოკრედიტი გამოჩნდა.**

„თიბისი ბანკის" მიერ მომხმარებლისთვის ახლახან შეთავაზებული სასესხო პროდუქტი კლიენტებს, კერძოდ კი ფიზიკურ პირებს საშუალებას მისცემს, სათანადო მოწყობილობები შეიძინონ ელექტროენერგიის ეფექტიანად გამოსაყენებლად. უფრო კონკრეტულად რომ განვმარტოთ, **ენერგოკრედიტი ისეთი ტიპის სესხია, რომლის გამოტანის შემთხვევაში ბანკის კლიენტს შესაძლებლობა ექნება, ენერგოშემცველთა ხარჯვა შეამციროს ისეთი მოწყობილობებით, როგორებიცაა, კერძოდ, შენობების (კედლების, სახურავისა და იატაკის) თბოიზოლაცია; ორმაგი შემინვის ფანჯრები; ჩვეულებრივი და კონდენსატორული ბოილერები, ასევე განახლებადი ენერგიის მოწყობილობები (მზის თერმული სისტემა, მაღალი ეფექტიანობის ბიომასის ღუმელები, ბიოდაიჯესტები საოჯახო მეურნეობისთვის) და სხვ.** თითოეული ზემოჩამოთვლილი მოწყობილობის დადგმა, ცხადია, ნებისმიერ ოჯახს გათბობისთვის გასაწევ ხარჯს საგრძნობლად შეუმცირებს.



ალსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ენერგოეფექტიანობის პროექტის ფარგლებში „თიბისი ბანკი" ენერგოკრედიტებს უკვე 2007 წლიდან მოყოლებული გასცემდა, თუმცა ბოლო დრომდე ამ სესხებს მხოლოდ კორპორატიული კლიენტები ლებულობდნენ.

**თავად ენერგოკრედიტი — ესაა 15-პროცენტიანი შეღავათიანი სესხი, რომლითაც შეძენილი მოწყობილობის 15 პროცენტი მსესხებელს უკან უბრუნდება, რაც, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ საქონელი თავისი ღირებულების სწორედ ამ ოდენობით იაფდება.**

აღნიშნული სახეობის საბანკო კრედიტი საქართველოს საბანკო მომსახურების ბაზარზე პირველია და, როგორც აღნიშნავენ, ახალი ტექნიკური საშუალებების მიმართ პოტენციურ მომხმარებელთა დაინტერესება ძალიან დიდია. საგულისხმოა ისიც, რომ ენერგოკრედიტის პროექტის განხორციელებას ხელს უწყობს ასევე ის გარემოება, რომ **სესხების აღების პირობები სხვა სახეობის სამომხმარებლო სესხების აღების პირობების ანალოგიურია.** კერძოდ, პოტენციური მომხმარებლის ყოველთვიური შემოსავალი 200 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს. თუ ეს პირობა შესრულებულია, ბანკის კლიენტი სასურველ პროდუქციას ირჩევს, რის შემდეგ მიმწოდებლის ინვოისს იღებს, რომელსაც მერე „თიბისი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში წარადგენს და იქ სათანადო ფორმით განაცხადსაც შეავსებს.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში ენერგოეფექტიანობის პროექტი, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2007 წლის მიწურულიდან ხორციელდება. მისი მიზანი კი ენერგოშემცველთა მოხმარების ინტენსიურობის შემცირება და ენერგიის განახლებადი წყაროების მოხმარების საშუალებების უკეთ განვითარებაა.

რაც შეეხება წმინდა ფინანსურ მხარეს, საქართველოში ამ პროგრამით ფიზიკურ პირთათვის შეღავათის გასაწევად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა 35 მილიონი დოლარის ოდენობის საკრედიტო ხაზი გახსნა.

**ოთარ ტურაბელიძე**

ლაურეატები

# პირველი „კირიაკელი"



**ჩვენი გაზეთის 10 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი პრემიების მინიჭების თაობაზე.**

**ახლადდაწესებული აკადემიკოს კირიაკ ზავრიევის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატი გახდა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გურამ გაბრიჩიძე. ეს მაღალი ჯილდო მან დაიმსახურა შრომათა ციკლისათვის „სეისმომედეგი მშენებლობის იდეოლოგია. ახალი შეხედულებები და მათემატიკური მოდელები".**



**გვესაუბრება ლაურეატი:**

— სეისმომედეგი მშენებლობის თანამედროვე იდეოლოგია, რაც მსოფლიოშია მიღებული, სრულყოფილი როდია — ვერ უზრუნველყოფს სეისმური უსაფრთხოების დეკლარირებულ დონეს და ეს საშიშია მცირე ტერიტორიებზე განლაგებული სახელმწიფოებისათვის. გასაგებია, რომ ამ მიმართულებით კვლევები ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ საჭირო და აუცილებელია.

ეს კვლევები ფუნდამენტური ხასიათისა იქნება. ხატოვანი თქმით, რაღაცა კი არ უნდა „დავამუშავოთ", არამედ უნდა „აღმოვაჩინოთ" და „მოვძებნოთ" ის, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ პრობლემას ერთიანად შევხედოთ და თანამედროვე სეისმომედეგი მშენებლობის იდეოლოგიის საიმედოობა შევაფასოთ, ალტერნატიული წინადადებები შემოვიტანოთ...

**— რამდენი შრომისაგან შედგება თქვენი ციკლი და სად გამოქვეყნდება ეგ შრომები?**

— თვრამეტი გამოკვლევისაგან შემდგარი ციკლი ბოლო წლებშია შექმნილი. შრომები ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა საქართველოსა და თურქეთში, რუსულად — რუსეთში. განზრახული მაქვს, რომ ახლო ხანში მონოგრაფიად გავაფორმო.

**— თქვენთვის ამ სასიამოვნო ჟამს ვის გაიხსენებდით მეცნიერულ გზაზე თქვენს დამკვალიანებელთაგან?**

— პირველ რიგში აკადემიკოს კირიაკ ზავრიევს, რომლის სახელსაც ატარებს ჩვენი სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი. აქვე გეტყვით, ჩემს პრემირებას მთელი ინსტიტუტის ჯილდოდ აღვიქვამ... სხვათა შორის, თბილისში „კავკასიის დიდი ენციკლოპედია" გამოდის, სადაც „პარალელური ბიოგრაფიების სერიაც" შევა. ერთი „შეწყვილებული" კირიაკ ზავრიევისა და მისი ერევნელი კოლეგის ბიოგრაფიები იქნება. მეამაყება, რომ ბატონი კირიაკის მოწაფე ვარ. მადლიერებით გავიხსენებ აგრეთვე სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის შესანიშნავ სპეციალისტებს, აკადემიკოს ოთარ ონიაშვილსა და პროფესორ გოგი ქარცივაძეს. გთხოვთ დაუმატოთ, რომ დიდი კირიაკ ზავრიევი ჩვენი აკადემიის დამფუძნებელთა რიცხვს მიეკუთვნება...

კიდევ რამდენიმე ცნობა პროფესორ **გურამ გაბრიჩიძეზე:** 15 წლის განმავლობაში (1990-2005წ) ინსტიტუტის დირექტორი გახლდათ. ახლა იქ სეისმომედეგი განყოფილების გამგე და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა. მეუღლე **ლალი იზაშვილი** მშენებელი ინჟინერია და „შეთავსებით" საქართველოს თერთმეტგზის(!) ჩემპიონია მაგიდის ჩოგბურთში; უფროსი ვაჟი კონსტანტინე ასევე მშენებელი ინჟინერია, უმცროსი მიხეილი — ოფთალმოლოგი.

ბატონ გურამს ძალიან უყვარს 6 შვილიშვილი და... ქართული სიმღერები...

**თამაზ ებანოიძე**

გლდანი-ნაძალადევის გამგეობის შუქ-ჩრდილები

# გულგრილობა

**რამდენიმე წლის წინათ თბილისის მერიამ საფუძველი ჩაუყარა მეტად მნიშვნელოვან საქმეს — ჩამოყალიბდა „თბილისის კორპუსი", აირჩიეს ამხანაგობის თავმჯდომარეები, რომლებიც რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობას ეწევიან კორპუსებისა და ეზო-ტერიტორიების სანიმუშოდ მოწყობისათვის; ამუშავდა ლიფტები, გადაიხურა სახლები, დაიგო ასფალტი, გაშენდა ყვავილნარები. მეც დიდი ენთუზიაზმით ჩავები ამ საქმეში; სანამ ამხანაგობის თავმჯდომარედ ამირჩევდნენ, მანამდეც ჩავდიოდი ეზოში თოხითა და ბარით და ვალამაზებდი გარემოს. ამიტომ ამირჩიეს ამ საპატიო საქმიანობის ხელმძღვანელად. მაგრამ, როგორც დიდმა ვაჟა-ფშაველამ თქვა: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი"... ამას წინათ წამომცდა, ასფალტი ჩვენს ეზოში ცუდად არის დაგებული-მეთქი და ეს მერიას მივწერე. გლდანი-ნაძალადევის გამგეობის მესვეურებმა გადაწყვიტეს შური ეძიათ ჩემზე და ფარულად მომიხსნეს 6 თვის თანხა!**

72 წლის კაცი ამაოდ დავრბოდი „საქართველოს ბანკში" და როცა მივხვდი, რომ ფული ჩემზე აღარ ირიცხებოდა, მივმართე კოორდინატორებს და მაშინ გავიგე, რომ ყოველი ცდა ფულის დაბრუნებისა შეუძლებელი იყო. ჩავთვალე, რომ ეს უკანონობა იყო და მოვითხოვე დებულება, თუ რა მიზეზებით ხდება „წახალისების" მოხსნა. ეს თურმე კოორდინატორების შეხედულებით წყდება და არა საქმის შესწავლით, თუ რომელი თავმჯდომარე როგორ მუშაობს! ამიტომ გამგებელიც ბრმად აწერს ხელს მათ მიერ „მირთმეულ" დოკუმენტებს, რომელიც შემდეგ იგზავნება „თბილისის კორპუსში".



მე წარმოუდგენლად მიმაჩნია ჩინოვნიკების მიერ სახელმწიფო თანხების საკუთარი შეხედულებებით განკარგვა, იმათ ძალიან კარგად იციან, თუ რას საქმიანობს ესა თუ ის ამხანაგობის თავმჯდომარე. როცა ამის შესახებ მივმართე გამგებელს, მან მიპასუხა, მე თქვენ საერთოდ პირველად გხედავთო! საქმეც ეს არის, ბატონო გამგებელო, რომ თქვენ ამხანაგობის თავმჯდომარეებს ხეირიანად არც იცნობთ და ვილაცების ახირებით ხელს აწერთ „წახალისების" მოხსნას. რისთვის მიხსნით, კარგი მუშაობისთვის? გამოყავით კომისია და აქ ადგილზე ვილაპარაკოთ, ნახეთ მოსახლეობა და დარწმუნდით, თუ რა გავაკეთე საკუთარი ხელებით და სახსრებით. ნახეთ, როგორ დანგრეულ ბინაში ვცხოვრობ და როგორ მაქვს მოვლილი კორპუსის ეზო-ტერიტორია. გაუაზრებელი მოქმედებით თქვენ ავნეთ ნაციონალურ მოძრაობასაც. აღშფოთებული ხალხი ამბობს, ხმას აღარ მივცემთ მმართველ პარტიასო!

მე მოვედი თქვენთან, რათა გამერკვია სიმართლე, მაგრამ... ვერაფერი ვერ გავარკვიე! ამიტომ იძულებული გავხდი სიმართლე პრესის ფურცლებზე დამეწერა, რათა ნათლად წარმოგედგინათ თქვენც და სხვებსაც თქვენი უწყების სერიოზული შუქ-ჩრდილები და წარმოუდგენელი გულგრილობა, რადგანაც მავანს და მავანს გაუადვილდეს სიმართლისა და პატიოსნებისათვის თვალებში თამამად ჩახედვა.

**პატივცემულო გამგებელო! — გირჩევთ ხელი არ მოაწეროთ ისეთ დოკუმენტს, რომლის სისწორეშიც კარგად არ იქნებით დარწმუნებული და ნუ გადაწყვეტთ ასე ადვილად იმ ადამიანის ბედს, რომელსაც არ იცნობთ და რომელიც ამას არ იმსახურებს.**

**მამია მდინარაძე,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფსიქოთერაპევტი.**

გვეხმაურებიან

# ზუგდიდელებს მართლაც არ ეკადრებათ!

**თქვენს გაზეთში წავიკითხე ბატონ რევაზ ტყემალაძის წერილი „ზუგდიდელებს ეს არ ეკადრებათ". ავტორმა გვამცნო, რომ ქ. ზუგდიდის ერთ ქუჩას რევაზ ლაღიძის სახელი გადაარქვეს და გრიშა ქობალიას სახელი უწოდეს.** გულწრფელად გეტყვით, მე როგორც ზუგდიდის რაიონის ერთ-ერთ სოფელში დაბადებულს, სირცხვილის გრძნობა დამეუფლა. კარგად ვიცნობდი ცხონებულ გრიშას, იგი დადებითი პიროვნება გახლდათ. ასევე ახლოს ვიცნობდი ბატონ რევაზ ლაღიძესაც. ბატონი რევაზი ხშირად ისვენებდა სოხუმში, კომპოზიტორთა სახლ „ლილეში". იქ და გულრიფშშიც, კარლო კალაძის აგარაკზე არაერთხელ შევხვედრივარ დიდ კომპოზიტორს რევაზ ლაღიძეს. რაღა მისი სახელი გადაარქვეს ბატონ ლაღიძის ქუჩას? განა ცოტაა ზუგდიდში საბჭოური სახელის მატარებელი ქუჩები? იმასაც გეტყვით: ზუგდიდის რაიონში ბევრი ლაღიძის გვარის მატარებელი პიროვნება ცხოვრობს. მიკვირს, მათ მაინც რატომ არ ამოიღეს ხმა!

მივმართავ ქალაქ ზუგდიდის მერიას და საკრებულოს, რათა სასწრაფოდ გამოასწორონ დაშვებული მიუტევებელი შეცდომა!

**ანზორ გვარამია,**
**მწერალი**

სიახლე

# მთაწმინდაზე მალე ახალ მემორიალს ვიხილავთ

**ქართველებს ერთი ცუდი ჩვეულება თუ ტრადიცია გვაქვს: ადამიანებს, ცნობილ მოღვაწეებს სიცოცხლეში არ ვაფასებთ, ყოფას ვუმწარებთ და როცა გარდაიცვლება ქებით ზეცაში აგვყავს. გვიან ვგებულობთ მათ ფასს. რა თქმა უნდა, არაფერს ეს სჯობია, მომავალ თაობას მაინც ეცოდინება სიმართლე მათ წინაპრებზე. ისეთი მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწეები, როგორიც ალექსანდრე ახმეტელი, პეტრე ოცხელი, ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი და სხვა მათი იდეების გამზიარებელი მრავალი ადამიანი იყო, დავიწყებას არ იმსახურებს.**

თითოეული მათგანი რეჟიმის მსხვერპლი გახდა და კულტურის ისტორიის ფურცლებიდან წაშლის საფრთხეც დაემუქრა, თუმცა მათი შემოქმედება, მოღვაწეობა და ერისთვის გაწეული სამსახური იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ქართველებმა ისინი არათუ დაივიწყეს, თანდათან უფრო ხვდებიან მათ მნიშვნელობას, მაგრამ მარტო ხსოვნა და სიტყვიერი პატივისცემა საკმარისი არ არის.

სწორედ ამიტომ, მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში 1937 წელს რეპრესირებულ უსაფლავო მწერალთა და ხელოვანთა სიმბოლური საფლავის მემორიალი დაიდგმება. პროექტზე ღია კონკურსი 7 სექტემბრიდან გამოცხადდა და ამ დროისთვის 25 ნამუშევარია წარმოდგენილი, რომლებიდანაც გამარჯვებულს სპეციალური კომისიის წევრები ამოირჩევენ. კონკურსანტთა და კომისიის წევრთა ვინაობა არ სახელდება. გამარჯვებულს დეკემბრის ბოლოს „ქარვასლაში“ გამოავლენენ, ხოლო მანამდე კონკურსანტთა ნამუშევრები ორი კვირა აქვე იქნება გამოფენილი და მათი ნახვა ნებისმიერ მსურველს შეეძლება.

კონკურსს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, ასევე ქალაქ თბილისის მერია საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მხარდაჭერით ახორციელებს. კონკურსში გამარჯვებული პროექტისთვის დაწესებულია ერთჯერადი ფულადი პრემია 5000 ლარი.

**მაკო ჭოლოშვილი – კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე:** – ეს პროექტი მნიშვნელოვანია სრულიად საქართველოსთვის, კონკურსიც ჩვენი ინიციატივით ტარდება. მალე გამარჯვებულსაც დავასახელებთ და რეპრესიებს შეწირულ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი ნამდვილად გახდება მთაწმინდის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ადგილი.

**ანა წიწილაშვილი**

გვწერენ

# აი, ხიდები!

**აზრზე მოდი, ხიდზე გადი! – ეს ძველი ქალაქური გამონათქვამი ზუსტად ესადაგება თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის მუშაკებს, რომლებმაც დედაქალაქის გზაჯვარედინების და ქუჩების განტვირთვის მიზნით საკმაოდ სოლიდური თანხების ხარჯვა დაიწყეს.** ბეტონის ბორდიურების პარალელურად, გაკვირვებას იწვევს რკინის კონსტრუქციებისგან დამზადებული გადასასვლელები, რომლებიც ქალაქის არაერთ ადგილზე მონტაჟდება და რომლებზეც ამხელა დანახარჯის მიუხედავად, ესკალატორებიც არ დაუდგამთ. არადა, ხომ წარმოგიდგენიათ, ზამთარში, როცა კიბეები მოიყინება, ან შუა ზაფხულში ისინი ტაფასავით რომ გავარვარდება, მოხუცებს, თუნდაც შუახნის ადამიანებს ხიდზე გადასვლა როგორ გაუჭირდებათ. ასეთ დროს ტრავმატოლოგიური მომსახურება უფასოც რომ იყოს, ვინ იქნება დაზღვეული კისრის მოტეხვისგან, რომ აღარაფერი ვთქვათ ასეთი ხიდების არქიტექტურულ იერსახეზე (ნუთუ არქიტექტორებს არაფერს ეკითხებიან!?), რომელიც ჩვენი დედაქალაქის დიზაინს არა და არ მიესადაგება. ამის ნიმუშია, მაგალითად, დიდუბის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე დადგმული ხიდი. იმის მაგივრად, რომ აქ ერთმანეთზე მიწყობილი სავაჭრო ჯიხურები და ავტოგასამართი სადგურები აეღოთ (თუნდაც სხვაგან გამოეყოთ მათთვის შესაფერისი ადგილი!), ტლანქი ხიდის ჩარჩირვით შექმნილი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმეს. ვფიქრობ, ვისაც მშობლიური ქალაქი უყვარს, ასეთ უაზრო და მოუფიქრებელ გადაწყვეტილებებს ვერაფრით დაეთანხმება.




**მალხაზ იაშვილი**

დიასპორა

# წმინდა ანდრიას წმინდა ნაწილები საქართველოში სამუდამოდ დაივანებს

## ქართულ-უკრაინული ურთიერთობის კიდევ ერთი კარგი გამოვლინება

**უკრაინის ქართული დიასპორა, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და გამორჩეულია სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართულ დიასპორებს შორის. ეს იმანაც განაპირობა, რომ უკრაინაში ქართველები ყველაზე კომფორტულად გრძნობენ თავს, რადგან მთავრობაც და არასამთავრობო ადგილობრივი ორგანიზაციები ყველა გზით ცდილობენ, ხელი შეუწყონ იქ მცხოვრებ ქართველობას, რომელთაგან უდიდესი ნაწილი აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები არიან.**

აღსანიშნავია, რომ უკრაინელებმა დიდი საჩუქარი გაუკეთეს ქართველებს და კიევის ცენტრში შენობა შეუძინეს, ასევე ეხმარებიან მის კეთილმოწყობაში, სადაც მომავალი წლისთვის ქართული სკოლა, ბაგა-ბაღი და სასტუმრო განთავსდება. ეზოში აშენდება მართლმადიდებლური ეკლესია და კელია...

ეს სამომავლოდ, მაგრამ ახლა უკრაინის ქართული დიასპორის წარმომადგენლები, კერძოდ ქართული კულტურის ცენტრ „მზიურის“ წევრები ქალბატონ მადონა ზარანდიას ხელმძღვანელობით საქართველოში იმყოფებიან და აქაც საინტერესო ღონისძიებებს ატარებენ. თუ უკრაინაში ცენტრ „მზიურის“ მიზანი ქართული ენის, ტრადიციების, კულტურის და მეობის შენარჩუნებაა, საქართველოში იმის პოპულარიზაციას ახდენენ, თუ როგორ ცხოვრობენ უცხოეთში ჩვენი თანამემამულეები. უკრაინაში ქართველთა ცხოვრების ამსახველმა ფოტოებმა ზარშან მთელი საქართველო შემოიარა, რამდენიმე დღის წინათ კი ასეთივე ფოტო-გამოფენა მარტვილში მოეწყო.

**სუმიში, ლვოვში, ჟიტომირში, ტერნოპოლში და ოდესაში მცხოვრები ქართველების ყოველდღიურობის ამსახველი სურათები უკრაინასა და კიევის მეტროპოლიტის უნეტარესი ვლადიმირის კურთხევით ჩამოიტანეს სამშობლოში. მარტვილელებმა თანამემამულეთა უცხოეთში გატარებული წლები სწორედ ამ „გაჩერებული წამების“ მეშვეობით შეიტყვეს, ჭყონდიდის მთავარეპისკოპოს პეტრეს ლოცვა-კურთხევით. ფინანსური დახმარება მაჟორიტარმა დეპუტატმა ნაული ჯანაშიამ გაუწია.**

გამოფენის პარალელურად ჩატარდა პატარების მის და მისტერ სილამაზის კონკურსი, სადაც ბავშვებმა საქართველოს ყველა კუთხის ეროვნული ტანსაცმელი წარმოადგინეს. ამას იმდენად ჰქონდა მნიშვნელობა, რამდენადაც ამ კონკურსის შესახებ დაიბეჭდა უკრაინის ცენტრალურ პრესაში და გაშუქდა ტელევიზიით, რომელიც, ბუნებრივია, უკრაინელმა მაყურებელმა იხილა. ბატონ ნაულის მადლობას უხდიან იმ დახმარებისთვისაც, რომელიც მან ერთ-ერთ ჩვილ ბავშვს გაუწია. უკრაინაში მცხოვრებმა გოგონამ ნანა მიქაბერიძემ ოჯახი საქართველოში შექმნა. სამწუხაროდ, მის ახლშობილს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები აღმოაჩნდა. მარტვილის დეპუტატმა ოჯახი საკუთარი სახსრებით უკრაინაში გაამგზავრა, რათა პატარამ კიევში გაიაროს მკურნალობა.

13 დეკემბერს, წმინდა ანდრიას ხსენების დღეს კი უკრაინაში მცხოვრები ქართველი, ოდესის ქართული დიასპორის საპატიო წევრი, აფხაზეთიდან დევნილი ბერი მამა ანდრია ოსიაშვილი საქართველოს ესტუმრება. ის ქუთაისის ახალ, მშვენიერ ეკლესიაში ჩამოაბრძანებს წმიდა ანდრიას ხატს, რომელშიც წმინდა ანდრიას წმინდა ნაწილები იქნა ჩატანებული და საჩუქრად გადასცემს.

ინიციატივა ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს ეკუთვნის. მისი ეს თხოვნა ოდესელებმა გულთან ახლოს მიიტანეს. უკრაინაში მცხოვრებ ქართველთა შემოწირულობითა და ოდესისა და იზმაილოვსკის მეუფე აგათ ანგელის ლოცვა-კურთხევით 13 დეკემბერს უკრაინის ქართული დიასპორის წარმომადგენლები წმინდა ანდრიას წმინდა ნაწილებს ქუთაისში ჩამოაბრძანებენ.



**სწორედ ასეთი ურთიერთობებით ყალიბდება კეთილმეზობლობა და მეგობრობა, ადამიანებს, ერებს თუ ქვეყნებს შორის. ქართულ-უკრაინულ კავშირებს საფუძველი დიდი ხანია ჩაყრილი აქვს, მაგრამ ამას განმტკიცება ნამდვილად სჭირდება, რასაც ქართული დიასპორის წარმომადგენლები ყველაზე კარგად ახერხებენ.**

**თეა მოსია**

ჩანახატი ფოტოს თანხლებით

# კოპალა – კაცი სიყვარულისა



**– გამოდი ერთი, ვანიკო მაჭავარიანი და „ლორთქია“ აქ არიან და, აღვნიშნოთ წლევანდელი „თბილისობაო“... თორნიკე რეკავდა, ჩვენი კოპალა, ჩვენი თორნიკე კოპალეიშვილი, როგორც იტყვიან, მოსკოველი ქართველი, ხშირ-ხშირად რომ ჩამოდის აქეთ, და, მაინც საქართველო ენატრება...**

ჩემი თანაკურსელის (დედაუნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვსწავლობდით!), თორნიკე კოპალეიშვილის ცხოვრება ისე აეწყო, რომ, 30 წელიწადზე მეტია მოსკოვში ცხოვრობს, ცნობილი ბიზნესმენია და მის რესტორან „ფიროსმანს“ უკვე რახანია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფოს მეთაურები (მარტო კლინტონის სტუმრობა რად ღირდა!) და მოსკოვის ელიტა გვერდს ვერ უვლის. რა თქმა უნდა, მას ქართველებიც სტუმრობენ, რომელთაც თორნიკეს ყურადღება, მართლაც რომ არ აკლიათ – ხელგაშლილია კოპალა, სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერიდან გამოყოლილი გულის სითბო, ყველას უნდა, რომ გაუნაწილოს... – მართალია, მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისია, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩვენს სულებშიც გაჩნდეს კრიზისიო, უყვარს ხოლმე თქმა. მისი ნიჭიერება ბიზნესში (თუმცა ვაჟა და გალაკტიონი, მაინც ქვეყანას ურჩევნია!) თბილისშიც გაიშალა, ავლაბარში გახსნა სასტუმრო „კოპალა“, რუსთაველზე, ქართული კლასიკური გიმნაზიის უკან – საგამოფენო დარბაზი „კოპალა“, წყნეთში კულტურის ცენტრი – „კოპალა“... მისი ქველმოქმედება არ აკლია ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების უამრავ მოღვაწეს, უამრავ უნიკალურ გამოცემას...

იმ დღეს, „თბილისქალაქობა“ რომ დავლოცეთ, ჩვენს სამშობლოს უკეთესი მერმისი რომ ვუსურვეთ და მასპინძელს დავემშვიდობეთ, პარმაღზე სამახსოვრო სურათიც გადავიღეთ – მარცხნიდან: ვანიკო მაჭავარიანი – ჭეშმარიტად გულანთებული მამულიშვილი, „ლორთქია“ (გურამ ლორთქიფანიძე! – მთელი საქართველოს კოლორიტი და უნიჭიერესი მსახიობი, მისი შვილიშვილი გიორგი, თქვენი მონა-მორჩილი და კოპალა – ჩვენი მასპინძელი... გოგლა ლეონიძე რომ იტყოდა, „ჩამაჭრდა კახეთს ჰაერიო“ – სწორედ ისეთ ღუღუნა სითბოში გამოვედით გარეთ და თბილის-ქალაქს თავი დავუკარით.

ახლა აღარც „ლორთქიაა“, აღარც „ჩუბჩიკა“ – უნიჭიერესი მხატვარი თენგიზ მირზაშვილი... წავიდნენ თორნიკეს უძვირფასესი მეგობრები... რომ ჩამოვიდე ვისთან ჩამოვიდეო, იტყვის ხოლმე იგი სევდიანად, მაგრამ იმასაც ვატყობთ, რომ მისი ბოლო ნავსაყუდელი აქ არის, საქართველოშია, უსაყვარლეს თბილისშია, სადაც, რუსთაველზე, ასე გვიყვარდა ხოლმე სეირნობა და, აღნაგი, პირმშვენიერი თორნიკეს დანახვაზე გოგოები ერთმანეთს ახედებდნენ ჩვენკენ... აქ არის მისი ობლობაში გამზრდელი დედის საფლავი (დიდხანს ეძებდა და ომში დაღუპული მამის საფლავს უკრაინაში მიაკვლია ამ რამდენიმე წლის წინათ!), აქ არის მისი სევდა და სიხარული... სიხარულები არ მოგიშალოს ღმერთმა, ჩვენო თორნიკე, დღეს შენი დაბადების 70 წლისთავია, გილოცავ! მოგიხტა სიბერე ძუ მგელივით?! არა უშავს, ცხოვრება წინაა!

**ვილენ მარდალეიშვილი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე




# საქართველო და უკრაინა ალიანსის წევრები აუცილებლად გახდებიან

**ხუთშაბათს ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ნატოს კომისიის სხდომა, რომელზეც მხარეებმა განიხილეს საკითხების მთელი სპექტრი, მათ შორის სიტუაცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. „ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის სტაბილურობას.**

ბუქარესტის სამიტზე დავადასტურეთ, რომ საქართველო და უკრაინა გახდებიან ნატოს წევრები. მათ უნდა შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი და ჩვენ უნდა დავინახოთ, თუ რა პროგრესია საქართველოში ამ თვალსაზრისით“, – განუცხადა საქართველოს ტელეკომპანია „იმედს“ ნატოს წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ. საქართველოს წარმომადგენელმა ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გიორგი მგალობლიშვილმა, თავის მხრივ, გვაცნობა, რომ „კომისიის სხდომაზე განიხილება საქართველოს დეოკუპაციის პროცესი, ევროკავშირის მისიის მეთვალყურეთა დაშვების საკითხი ოკუპირებულ ტერიტორიებზე“. წინა დღით ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა დაადასტურა, რომ ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება ძალაში რჩება და „ეს ნიშნავს, რომ საქართველო და უკრაინა უსათუოდ გახდებიან ნატოს წევრები“. თუმცა, აღნიშნა გენერალურმა მდივანმა, „ამისთვის მათ უნდა შეასრულონ შესაბამისი პირობები“. რასმუსენმა აგრეთვე განაცხადა, რომ ნატო მოითხოვს, პატივი ვცეთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. მან ამავე დროს აქცენტი გააკეთა საქართველოს და უკრაინის მონაწილეობაზე აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციებში. „საქართველო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნატოს ავღანეთის კამპანიაში და ამის გამო ჩვენ მადლობელი ვართ საქართველოსი და უკრაინისა“, – თქვა მან.

НЕЗАВИСИМАЯ

# საქართველო ითხოვს, მას ჯორჯია უწოდონ

**საქართველოს ხელისუფლებამ შეთხზა ახალი ეროვნული იდეა. იმისთვის, რომ საბოლოოდ მოუღონ ბოლო ყველაფერს რუსულს, ისინი მსოფლიოსგან მოითხოვენ, რომ მათ საქართველოს აღარ უწოდონ გრუზია. აიო, ეს სიტყვა ძალიან სლავიანურია, „გეორგია“ ანდა ინგლისური ტრანსკრიფციით „ჯორჯია“ კი – ეს არის ნამხვილი სახელწოდება!**

აზრი ქვეყნისთვის სახელის შეცვლის შესახებ გამოთქვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ თავის ლიტველ კოლეგასთან შეხვედრის დროს. როგორც პრეზიდენტი სააკაშვილი ამტკიცებს, სიტყვა „გრუზია“ არაფრით უკავშირდება საქართველოს. აიო, ოდესღაც ყოველივე ეს ცუდმა რუსებმა მოიფიქრეს, რომლებმაც ეს სიტყვა თურქული ენიდან აიღეს. მაშასადამე, ეს სახელწოდება წყეული რუსული მემკვიდრეობაა, რასაც ბოლო უნდა მოეღოს.

შემდეგ ვაშაძემ წამოაყენა ალტერნატივა: მან განაცხადა, რომ ყველა ქართველს სურს, რომ მათ ქვეყანას ამიერიდან უწოდებდნენ „გეორგიას“.

სასაცილოა, რომ ერთი ჯორჯია მსოფლიოს რუკაზე უკვე არის – ეს არის შტატი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამით სააკაშვილი გადადგამს კიდევ ერთ ნაბიჯს „ვაშინგტონის საოლქო კომიტეტისკენ“, წარმოაჩენს თავის ლოიალობას ოკეანისგაღმელი მფარველებისკენ. მაგრამ საკითხავია, სჭირდება კი ამერიკას მეორე „ჯორჯია“, რომლის სათავეშიც კვლავ დგანან არაადეკვატური პიროვნებები?

ვაშაძემ არ დააზუსტა აგრეთვე, თუ ამიერიდან როგორ უნდა ვუწოდოთ სახელგადარქმეული ქვეყნის მცხოვრებლებს. „კომსომოლსკაია პრავდა“ შეეცადა დახმარებოდა მინისტრს და სთავაზობს მას ასარჩევად:

– გეორგინები (ვახ, რა ლამაზია!ძ,

– გეორგინელები (არც ეს არის ცუდიძ,

– გიორგები (ეს კი როგორი ეკონომია გამოგვივა სახელებზე და მამის სახელებზე?ძ,

– ჯორჯები (ეს ბუშს ესიამოვნებაძ,

– ჯორჯანელები (ამაში არის რაღაც კოსმოსურიძ,

– ჯორჯიკები (ეს მოფერებითიაძ,

– გეორჯორჯიკები (რა საამაყო და მოფერებითიცააძ...

რა, ასე უფრო სამხიარულოც არ გახდებოდა საქართველოს ხელმძღვანელებისთვის მიმართვა? ჩვენ ასეც ვილაპარაკებდით: „გეორგინი სააკაშვილი“... დანარჩენ პატიოსან ქართველ ხალხს კი ვუწოდებდით ძველებურად – ქართველებს (გრუზინებსძ.

**ალექსეი ოვჩინიკოვი**

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

# ნატოს მინისტრებმა რუსეთს მოუწოდეს, უარი თქვას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე

**ნატოს 28 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების ხელმძღვანელებმა მოუწოდეს რუსეთს, უარი თქვას აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარებაზე. ამის შესახებ ნათქვამია საქართველო-ნატოს კომისიის სხდომის შედეგების შესახებ მიღებულ განცხადებაში.**

ნატოს მინისტრებმა მხარი დაუჭირეს საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. საგარეოპოლიტიკურ უწყებათა ხელმძღვანელებმა მოუწოდეს უზრუნველყონ საქართველოში ევროკავშირის მეთვალყურეთა მისიის შეშვება სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე.



შეგახსენებთ, რომ ურთიერთობა რუსეთსა და ნატოს შორის, თანაც არა მხოლოდ სამხედრო ურთიერთობანი, არამედ პოლიტიკურიც, შეჩერდა ალიანსის ყოფილი გენერალური მდივნის იააპ დე ჰოოპ სხეფერის დროს. სამხრეთ ოსეთში აქტიური საბრძოლო მოქმედებათა შეწყვეტის დროს სხეფერმა განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაცია-ნატოს საბჭო წყვეტს თავის საქმიანობას, სანამ რუსეთი არ გამოიყვანს თავის ჯარებს საქართველოს ტერიტორიიდან ომამდელ პოზიციებზე. მოსკოვმა საპასუხოდ ალიანსის წევრ ქვეყნებს გაუგზავნა ნოტა სამხედრო თანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ.

დათბობა მოხდა მას შემდეგ, რაც ივნისის ბოლოს საბერძნეთის კუნძულ კორფუზე გაიმართა საბჭოს არაფორმალური სხდომა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის მონაწილეობით. მართალია ის შეხვედრა გაიმართა ფორმატით „უჰალსტუხოებოდ“, მხარეები მაშინ შეთანხმდნენ, რომ ამიერიდან აქცენტი აღარ გაეკეთებინათ მათი დავის ქართულ თემატიკაზე, არამედ ისაუბრონ იმაზე, რაც მათ აერთიანებთ. მაგალითად, წესრიგის დამყარება ავღანეთში.

РОСБАЛТ



# როგოზინი: საქართველო მთლიანად ხელახლა შეიარაღდა

**რუსეთის ხელმძღვანელობა შეშფოთებულია იმით, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღადგინა თავისი ქვეყნის სამხედრო პოტენციალი და ამავე დროს არ მიუტოვებია სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან სიტუაციის სამხედრო გადაწყვეტის გეგმები. ამის შესახებ ნატოსთან რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა დიმიტრი როგოზინმა განაცხადა ვიდეოხიდ ბრიუსელი-მოსკოვის მსვლელობის დროს.**

„ჩვენი ანალიზი იმისა, თუ რა ხდება ამჟამად საქართველოში, მეტყველებს – საქართველო, ფაქტობრივად, მთლიანად ხელახლა შეიარაღდა, სააკაშვილმა აღადგინა თავისი ქვეყნის სამხედრო პოტენციალი“, – თქვა როგოზინმა.

„ეს რეალური პრობლემაა და ჩვენ ვიცით ამის შესახებ. ამით, რასაკვირველია, შეშფოთებულია რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და ჩვენი თავდაცვის სამინისტრო“, – აღნიშნა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა „ვესტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ შარშანდელი აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ თბილისი აგრძელებს შეიარაღებას. მან აგრეთვე დაადასტურა ინფორმაცია იარაღის და სამხედრო ტექნიკის მიწოდების შესახებ საქართველოში ნატოს ზოგიერთი ქვეყნების მხრიდან.

„ჩვენ რამდენიმე წლით ადრე გავიძახოდით, რომ პრეზიდენტმა გასცა დანაშაულებრივი ბრძანება, თავს დასხმოდნენ სამხრეთ ოსეთს და რომ საქართველოსთვის შეიარაღების დიდი ოდენობით მიწოდება, განსაკუთრებით შეტევითი შეიარაღებისა, ცუდად დამთავრდებოდა. ჩვენ გვარწმუნებდნენ, რომ ეს არ მოხდებოდა, რომ იგი ამას ვერ გაბედავდა“, – განაცხადა სერგეი ლავროვმა.

ამასთან ერთად, მან აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ექსსახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი უარყოფდა ამგვარი რამის შესაძლებლობას. „ერთ-ერთ მომენტში ისიც კი აღნიშნა, რომ თუ იგი გაბედავს გამოიყენოს იარაღი, რასაც ჩვენ მას ვაწვდით, მას შეუძლია დაივიწყოს ნატოს წევრობა, – განაცხადა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა. – მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა გამოიყენა იარაღი, შევეკითხე რაისს, თუ როგორ არის ამჟამად ნატოს წევრობის საკითხი, მაგრამ მან არაფერი მიპასუხა“.

საგარეოპოლიტიკური უწყების ხელმძღვანელს იმედი აქვს, რომ „ბევრმა სათანადო დასკვნა გააკეთა იმ სიტუაციიდან“. „თუმცა ვაღიარებ, რომ ჩვენ ვღებულობთ ინფორმაციებს სხვადასხვა წყაროებიდან იმის შესახებ, რომ ცალკეული ქვეყნები სხვადასხვა რთული სქემებით მაინც ცდილობენ დააკმაყოფილონ საქართველოს ხელმძღვანელობის მოთხოვნები იარაღის შესყიდვასთან დაკავშირებით“, – განაცხადა ლავროვმა.

РОСБАЛТ

## დედამიწის ზურგზე



**დატყვევებულმა თალიბმა მიანიშნა, თუ სად უნდა ექებონ ბინ ლადენი – ავღანეთში**

ყოველ შემთხვევაში „ტერორისტი ნომერი პირველი“ წლის დასაწყისში იმყოფებოდა იქ, ამტკიცებს დაკავებული. პაკისტანის სპეცსამსახურები აღნიშნავენ, რომ ამ პიროვნებას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა პაკისტანისა და ავღანეთის თალიბებთან. ის მონაწილეობდა გატაცებებში და ბოევიკებისთვის დაფინანსების ძიებაში.

* * *

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მედვედევის რომში ვიზიტი შეაფასეს: წარმატებაა ყველაფერში, გარდა მთავარისა**

ვიზიტი დამთავრდა 18 მნიშვნელოვან შეთანხმებაზე ხელმოწერით, მაგრამ შეთანხმება „სამხრეთ ნაკადის“ შესახებ ვერ მოხერხდა. იტალიის პრემიერი იცავდა მედვედევს ჭირვეული შეკითხვებისგან და პირობას იძლეოდა, რომ ევროპა მხარს დაუჭერს რუსეთის გაზის შესყიდვას. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი იმყოფებოდა აგრეთვე ვატიკანში და იქ მოილაპარაკეს საელჩოს გახსნის შესახებ.



* * *

**ბრაზილიის სან-პაულუში ოთხი კაცი დაიღუპა ქვებისა და ტალახი ქვეშ**

წყალდიდობის ძალის შესახებ შეიძლება ვისაუბროთ მეტეოსამსახურის ცნობების მიხედვით, რომელიც იტყობინებოდა, რომ სამხრეთ ამერიკის უდიდეს მეგაპოლისში მოვიდა დეკემბრის ნალექების ერთი კვირის ნორმა, რითაც დაიწყო კოკისპირული წვიმების პერიოდი. ამჟამად ქალაქის კანალიზაცია ვერ უმკლავდება ასეთ დატვირთვას და ბევრი ქუჩა ნამდვილ მდინარედ გადაიქცა.

* * *

**ობამამ ნება მისცა პენტაგონს, გაგზავნოს ავღანეთში კიდევ 3 ათასი სამხედრო: საჯაროდ ამის გამოცხადების გარეშე**

ასეთი უფლების შესახებ თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა განაცხადა კონგრესში მოსმენაზე. მისი სიტყვებით, მას აქვს უფლება თეთრი სახლის მხარდაჭერის გარეშე გაზარდოს გასაგზავნი კონტინგენტის რაოდენობა 10 პროცენტით. საკითხი შეეხება ეგრეთ წოდებულ დამხმარე ქვედანაყოფებს – მესანგრეებს, სამხედრო მშენებლებსა და ინჟინრებს, სამედიცინო ევაკუაციის გუნდებს.

* * *

**აშშ-ს პრეზიდენტმა დაანთო საახალწლო ნაძვისხის ცეცხლი თეთრ სახლთან**

ასეთი პასუხსაგები მისიის შესრულებაში მას დაეხმარნენ მეუღლე მიშელი და ქალიშვილები საშა და მალია. სავალდებულო სიტყვის შემდეგ ობამამ დაითვალა ხუთიდან ერთამდე, რის შემდეგაც მან და მისი ოჯახის წევრებმა ერთად დააჭირეს თითები ღილაკს, და საახალწლო ნაძვის ხე აკიაფდა.



# „კოლორიტი“

**ის იყო, ნომრის მასალებზე მუშაობას მოვრჩი, რომ ოთახის კარი ახალგაზრდა მამაკაცმა შემოხსნა.**

– მობრძანდით, – შემოვიპატიჟე, – რამ შეგაწუხათ?

– ორიენტაციამ, – მიპასუხა ლაკონურად.

– რომელმა ორიენტაციამ? – შევაცქერდი, – მთავრობისამ ხომ არა?

– არა, პირადმა ორიენტაციამ, – თქვა თავდაჯერებულმა.

– მერე, შეიცვალეთ, ბატონო, ეგ თქვენი ორიენტაცია, თუკი არ მოგწონთ!

– რას ქვია, არ მომწონს, ძალიანაც რომ მომწონს, სწორედ მაგის სათქმელად მოვედი.

– აბა, შემაწუხაო? თუ მოგწონთ, როგორღა შეგაწუხათ? ნუ დამაბნიეთ, ბატონო!

– აი ასეა, – აიმრიზა, – საქართველოში ვერავის ვერაფერს გააგებინებ. ცისფერობამ შემაწუხა, ბატონო ცისფერობამ!

– ააა, ცისფერობამ? – ამოვილუღლუღე, – მაინც ვერ გაგიგეთ, ცისფერობამ თუ ცისფერებმა შეგაწუხეს?

– რას ბრძანებთ, ბატონო, ცისფერები როგორ შემაწუხებენ, მე თავად ვარ ცისფერი.

– და თქვენ ამას არ მალავთ?

– რატომ უნდა დავმალო, პირიქით, ვამაყობ კიდეც. ცისფერობა ხომ მაღალცივილიზებულობის ნიშანია.

– მაშ, რატომ ხართ შეწუხებული?

– სწორედ იმიტომ, რომ საზოგადოების ამ ელიტარულ ნაწილს საქართველოში ვერ აფასებენ, უფრო მეტიც, ყოველდღიურ ცხოვრებაში უხეშად ირღვევა ჩვენი უფლებები.

– რას გულისხმობთ?

– რას აღარ – დაგვცინიან, გვამცირებენ, ზოგჯერ ფიზიკურადაც კი გვისწორდებიან. ამას წინათ, მაგალითად, ნასვამმა ბიჭებმა ფეხქვეშ გამიგდეს და ცემით კინაღამ გამხეთქეს.

– რატომ, არ უთქვამთ?

– ცისფერი რატომ ხარო.

– როგორ შეგატყვეს?

– თურმე სიარულის მანერა არ მოეწონათ, არც ლაპარაკისა.

– არ უჩივლე?

– პოლიციაში განვაცხადე, მაგრამ სიცილით გაიგუდნენ. ხომ გითხარით, ყველა ჩვენს დამცირებას ცდილობს. პოლიციელებისგან კიდევ ავიტანდი ამას, მაგრამ როცა უკვე გაზეთებმაც დაიწყეს ჩვენი გინება?

– რომელმა გაზეთებმა?

– ვითომ არ იცოდეთ. ამ ორი დღის წინათ თქვენმა გაზეთმა თავს ლაფი დაასხა, უკადრებელი აკადრა რამიშვილის ტელეშოუში გამოსულ ჰომოსექსუალ ვინმე „კოლორიტს“. რატომ გაბედე და თქვი – ჰომოსექსუალი ვარო, ჟურნალისტმა სულ პედერასტი უძახა. პედერასტობა რა, ვითომ სამარცხვინო საქციელია?

– ყველას აქვს უფლება, ბატონო, საკუთარი აზრის გამოთქმისა, თქვენ რა, ჟურნალისტს ამას უკრძალავთ?

– მე არავის არაფერს ვუკრძალავ, მაგრამ არც სხვებსა აქვთ უფლება საკუთარ სექსუალურ ორიენტაციაზე მომაქციონ.

– მაგრამ როცა ქვეყანაში ძველი ტრადიციები მძლავრობს, იქნებ როგორმე სქესი შეგეცვალათ?

– არავითარ შემთხვევაში. სქესის შეცვლა, მე პირადად, დიდ მკრეხელობად მიმაჩნია, მადლობელი ვარ განგებისა, რომ ამ ქვეყანაზე ცისფრად მომავლინა.

– ვერ გამიგია, – ვეუბნები, – დაგცინიან, გამცირებენ, თქვენ კი ამაყობთ მაგ რაღაც ცისფერობით.

– ჩამორჩენილები, გოიმები არიან და იმიტომ დაგვცინიან. აბა გაიხედეთ რა ხდება ამერიკასა და ევროპაში. ბევრ ქვეყანაში ჰომოსექსუალები დიდი პრივილეგიებით სარგებლობენ, იქაური კანონმდებლობა მათ ქორწინების უფლებასაც კი აძლევს. ჩვენთან კი მთავრობასა და პარლამენტში ხმის ამოღებას ვერავინ ბედავს.

– როგორ არა, ამ საკითხზე ერთხელ კუკავა ხომ გამოვიდა?

– მერე რა თქვა ჩვენ სასარგებლოდ? პირიქით, მოითხოვა, კანონში პირდაპირ ჩავწეროთ, რომ მექორწინე წყვილიდან ერთი მაინც უეჭველად ქალი იყოსო. ამის შემდეგ რა უნდა ელაპარაკო, ოპოზიციონერი მაინც არ იყოს ეგ ჩემალალა!

– ესე იგი, ეს ხელისუფლება ცისფერებსაც არ მოგწონთ?

– რა აქვთ მოსაწონი, ჩვენს გარდა რომელი ქვეყნის ხელისუფალთ მოუვათ აზრად, ქორწინების შემდეგ ლოგინში ამოწმონ – კაცები გორაობენ ერთად თუ ქალები? თანაც ხომ ვიცი, ხელისუფლებაშიც ბევრნი არიან ჩემნაირები, მაგრამ თანამდებობის დაკარგვისა ეშინიათ და იმიტომ არ აჩენენ. აბა თუ ვაჟკაცები არიან გამოვიდნენ და საჯაროდ განაცხადონ – ვინ ცისფერია და ვინ კიდევ – ვარდისფერი!

– მოცდა დაგჭირდებათ, – გავამხნევე, – მაგათ ვიდრე არ გადააყენებენ, დედალ-მამლობისას ვერაფერს გაუგებთ.

– მოვიცდი, სულაც საზღვარგარეთ გადავიხვეწები.

– მერე ნოსტალგია არ მოგეძალებათ?

– გავუძლებ. ვფიქრობ, დიდი ხნის ლოდინი არ დამჭირდება. ქვეყნის ხელისუფლებაში ჰომოსექსუალები უმცირესობიდან უმრავლესობაში მოექცევიან თუ არა, მაშინვე დავბრუნდები.

**ოტია ჩართოლანი**




## მხატვრის თვალით

ამირან ერაძის ნახატი




## ხმით ნატირალი

**მწერლებს ჯერ სახლი
წაგვართვეს,
მერე „სამშობლო“ მთლიანად,
ჩვენს მტრებს მიჰყიდეს მამული,
მიწიან-ტყიან-წყლიანად.
კომპოზიტორებს წაღლიტეს,
თუ სადმე რამე ებადათ,
სიმფონია და ოპერა
უქციეს წყევლის ხმებადა.
საბრალო მუსიკოსები
სხედან ნატვრის ხის ტოტებზე,
მიშაზე გულმოსულები,
გინებას თხზავენ ნოტებზე.
სპორტსმენებს დედა უტირეს
ყალბ მოფერება-ძმობაში,
მიშიკომ ყველას აჯობა,
თან ყველა სახეობაში.
აკადემია წაართვეს,
და გაულანძღეს ღირსება,
ამიტოა, რომ ქართველის
გული შხამ-გესლით ივსება,
ფეხბურთის ბედი მიანდეს
ვითომ მწვრთნელს, ვიღაც
მიულერს,
ამ დონის საქმის არმცოდნეს,
ალბათ, მტერი მტერს მიუვლენს.
სიღარიბესაც ეტაკა
მიშა სიტყვით და ლოზუნგით,
შენ გაიხარე, მიხეილ,
ტყუილის ჭამით მოვსუქდით.
მე მესმის სააკაშვილის
შორსმჭვრეტელური ფიქრები,
თვით სიღარიბეც გაქრება,
როცა ჩვენ აღარ ვიქნებით.
დიახ! – ჩვენ, ღარიბ-ღატაკნი,
მათივე გაძარცვულები,
ალბათ სულეთში ტირიან
მამა-პაპათა სულები.
ვისა აქვს დარდი ღატაკის,
მშიერ-მწყურვალი შიშველის?!
ვცოცხლობთ ერთადერთ
იმედით –
ქრისტე-ღმერთი თუ გვიშველის!**

## ცრუპატრიოტებს, გამყიდველთ, ერთად გიგულვებთ მიწაში!

**რომ არ ვთქვა, გული გასკდება,
თუმც მეძნელება ძალიან,
რაც საქართველოს ჭირი სჭირს,
სულ ქართველების ბრალია!**

**ძაღლი ჩააკვდეს საფლავში,
– სიმართლე როგორ არა ვთქვა?!
ვინც საქართველოს მიწა-წყალს
„სამხრეთ ოსეთი“ დაარქვა.**

**საკუთრის გასაჩუქრების
კი აქვს უფლება ყველა კაცს,
იმას ვინ ეკითხებოდა,
რომ თმობდა ჭარს და ბელაქანს.**

**მას შემდეგ ცხარე დავაა,
ცივი ან ცხელი ომია,
რაც აჭარას და აფხაზეთს
შეარქვეს ავტონომია.**

**წეწვა-გლეჯაა მიწისთვის
თითქმის მთელ დედამიწაზე,
ქართველი თავის სამოთხეს,
არც უფიქრდება, ვის აძლევს!**

**დღეს ჯავახეთში, ქართველებს,
კაცი სანთლით თუ მიაგნებს,
ამ ძირძველ საქართველოში
უცხოთა დროშა ფრიალებს.**

**ჯავახეთს „ძმებს“ რომ
აძლევდნენ,
როგორც უფლისგან წყალობას,
სად ჰქონდა ჭკუა-გონება
მაშინდელ ქართულ მთავრობას?!**

**ცრუპატრიოტებს, გამყიდველთ
ერთად გიგულვებთ მიწაში,
ვისაც სამშობლო არ გიყვართ
ცხვირს ნუ ჰყოფთ პოლიტიკაში.**

**ნიკოლოზ იოსებიძე**



## სუშისა თოხლვა დავიწყოთ, ერთხმად დავძახოთ „სუშური“!

**რა ენაღვლება, თუ არცვინ
უშლის...
ასე ხდებოდა გუშინწინ, გუშინ...
მიშა, მისმინე, მიშიკო,
„სლუში“ –
რა ამბავია ყოველდღე სუში!
ხალხს სანამ უნდა
აფურთხოთ სულში?
ამას გირჩევდა ძია ჯორჯ ბუში?..**

**თამაზ ილმელი**

## უცხოური კარიკატურა



უსიტყვოდ

## ანეკდოტები

**დავკარგე საფულე ორი ათასი დოლარითა და ავტობუსის სამგზავრო ბილეთით. მპოვნელმა იქნებ ფული მაინც დამიბრუნოს!**

* * *

**იდეალური ცოლი ტარაკანს ჰგავს. მას ან ღამით ხედავ, ან – სამზარეულოში.**

* * *



**– ივანიჩ, რითი განსხვავდებიან ყაზანის მცხოვრებნი რიაზანის მკვიდრთაგან?**
**– ყაზანელებმა იციან, რომ ისინი თათრები არიან, რიაზანელები კი მხოლოდ ახლა ხვდებიან ამას.**

* * *

**მთავრობა გვიმტკიცებს, რომ ეკონომიკური კრიზისის პიკი გავლილია. ახლა მხოლოდ ამ პიკიდან გადახტომა და ფსკერამდე ფრენაა დარჩენილი.**

* * *

**სესხის საპროცენტო განაკვეთი მაღალ მთას ჰგავს, – რაც უფრო მაღლა ადიხარ, მით უფრო ნაკლებია ჟანგბადი.**

**მოსამართლე:**
**– რატომ ესროლეთ ამ ადამიანს?**
**– ხარები მეგონა, ბატონო.**
**– როდის მიხვდით, რომ ხარები არ იყო.**
**– როცა აქეთ დამიწყეს სროლა.**

* * *

**– ბრძანეთ, ბატონო, რა გაიძულებს ყველდღე რომ სვამთ?**
**– არც არაფერი არ მაიძულებს, მე მოხალისე ვარ.**

◎ თაოზა

# უცხოელთა მონაწილეობით

**სპორტკომპლექს „ქარიშხალაში“ დასრულდა საქართველოს ფუტსალის (დარბაზის ფეხბურთის) ასოციაციის (პრეზიდენტი – კახა დევდარიანი) ინიციატივით გამართული 7-9 წლის მოზარდთა თასის გათამაშება.**

ოთხთა ტურნირის გამარჯვებული გახდა დედაქალაქის 57-ე საჯარო სკოლის (დირექტორი – იოსებ ხუციშვილი, სპორტისა და ესთეტიკის კათედრის გამგე – ვახტანგ ბაქანიძე) გუნდი „ნორჩი დინამოელი – ვაკე“, რომელმაც ფინალში 3:2 სძლია თბილისში მცხოვრებ უცხოელ თანატოლთა კლუბ „ინტერს“. ამ უკანასკნელთა ღირსებას გერმანელი, ჰოლანდიელი, ამერიკელი, ჰონდურასელი და ახალზელანდიელი ბავშვები იცავდნენ. აღსანიშნავია, რომ ისინი ჯგუფურ ეტაპზეც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინაც მასპინძლებმა იყოჩაღეს – 10:5.

ტრადიციისამებრ, ინდივიდუალური პრიზებით დაჯილდოვდნენ ასპარეზობის გამორჩეული მონაწილენი: მეკარე – ჰოლანდიელი ლუკას პოდიფოტი, მცველი – გიორგი არველაძე (24-ე საჯარო სკოლა) და საუკეთესო ბომბარდირი – თემურ გოგლიძე („ნორჩი დინამოელი – ვაკე“).



**სურათზე: სტუმარ-მასპინძლები დაჯილდოების შემდეგ. უკანა რიგში – მწვრთნელები ვახტანგ ბაქანიძე (მარცხნივ) და ზექა კვიციანი.**

◎ კალათბურთი

# ოქმის ენით

**ევროლიგის ჯგუფური ტურნირი. VI ტური.**

**„ა“ ჯგუფი.** „ბარსელონა“ – „ფენერბახჩე“ 89:55, „სიენა“ – „ციბონა“ 90:64, „ვილერბანი“ – „ჟალგირისი“ 77:67.

„ბარსელონა“ – 6, „სიენა“ – 5, „ფენერბახჩე“ – 3, „ვილერბანი“ – 2, „ჟალგირისი“, „ციბონა“ – 1-1 მოგება.



**„ბ“ ჯგუფი.** „უნიკახა“ – „პარტიზანი“ 64:72, „ეფესი“ – „რიტასი“ 77:62, ორლეანი“ – „ოლიმპიაკოსი“ – 84:88.

„უნიკახა“ – 5, „ოლიმპიაკოსი“ – 4, „ეფესი“, „რიტასი“, „პარტიზანი“– 3-3, „ორლეანი“ – 0 მოგება.

**„გ“ ჯგუფი.** „ტაუგრესი“ – „რომა“ 67:60, ცსკა“ – „მაროსი“ 78:65, „ოლიმპია“ – „მაკაბი“ 65:82.

„მაკაბი“ – 5, „ტაუგრესი“, ცსკა – 4-4, „რომა“ – 3, „ოლიმპია“, „მაროსი“ – 1-1 მოგება.

**„დ“ ჯგუფი.** „პანათინაიკოსი“ – „მილანი“ 80:68 (მასპინძელთა ქართველმა ლეგიონერმა **გიორგი შერმადინმა** მოედანზე 4 წუთი გაატარა და პარტნიორებს 4 ქულა შეაწია), „რეალი“ – „ხიმკი“ 70:59, „ოლდენბურგი“ – „პროკომი“ 80:82.

„რეალი“, „პანათინაიკოსი“ – 5-5, „ხიმკი“ – 4, „პროკომი“ – 2, „მილანი“, „ოლდენბურგი“ – 1-1 მოგება.

◎ ფეხბურთი

# მხოლოდ შედეგები

**ევროპის ლიგის ჯგუფური რაუნდი. V ტური.**

**„ა“ ჯგუფი.** „ტიმიშოარა“ – „აიაქსი“ 1:2, „ანდერლეხტი“ – „დინამო“ (ზაგრები) 0:1.

„აიაქსი“ – 11, „ანდერლეხტი“ – 8, „დინამო“ (ზაგრები) – 6, „ტიმიშოარა“ – 2 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** „ვალენსია“ – „ლილი“ 3:1, „სლავია“ – „ჯენოა“ 0:0.

„ვალენსია“ – 9, „ლილი“, „ჯენოა“ – 7-7, „სლავია“ – 3 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** „ჰამბურგი“ – „რაპიდი“ 2:0, „სელტიკი“ – „ჰაპოელი“ 2:0.

„ჰამბურგი“ – 10, „ჰაპოელი“– 9, „სელტიკი“ – 5, „რაპიდი“ – 4 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** „სპორტინგი“ – „ჰერენვენი“ 1:1, „ვენტსპილსი“ – „ჰერტა“ 0:1.

„სპორტინგი“ – 11, „ჰერტა“ – 7, „ჰერენვენი“ – 5, „ვენტსპილსი“ – 3 ქულა.

**„ე“ ჯგუფი.** „რომა“ – „ბაზელი“ 2:1, „ფულჰემი“ – ცსკა (სოფია) 1:0.

„რომა“–10, „ბაზელი“ – 9, „ფულჰემი“ – 8, ცსკა (სოფია) – 1 ქულა.

**„ვ“ ჯგუფი.** „გალათასარაი“ – „პანათინაიკოსი“ 1:0, „დინამო“ (ბუქარესტი) – „შტურმი“ 2:1.



გალათასარაი“ – 13, „პანათინაიკოსი“ – 9, „დინამო“ (ბუქარესტი) – 6, „შტურმი“ – 1 ქულა.

**„ზ“ ჯგუფი.** „ზალცბურგი“ – „ლაციო“ 2:1, „ლევსკი“ – „ვილიარეალი“ 0:2

„ზალცბურგი“ – 15, „ვილიარეალი“ – 9, „ლაციო“ – 6, „ლევსკი“ – 0 ქულა.

**„თ“ ჯგუფი.** „ტვენტე“ – „ფენერბახჩე“ 0:1, შერიფი“ – „სტიაუა“ 1:1.

„ფენერბახჩე“ – 12, „ტვენტე“ – 7, „შერიფი“ – 5, „სტიაუა“ – 3 ქულა.

**„ი“ ჯგუფი.** ბატე – „ბენფიკა“ 1:2, აეკი – „ევერტონი“ 0:1.

„ბენფიკა“ – 12, „ევერტონი“ – 9, ბატე, აეკი – 4-4 ქულა.

**„კ“ ჯგუფი.** „ეინდჰოვენი“ – „სპარტა“ 1:0, „კოპენჰაგენი“ – „კლუჟი“ 2:0.

„ეინდჰოვენი“ – 11, „კოპენჰაგენი“, „სპარტა“ – 7-7, „კლუჟი“ – 3 ქულა.

**„ლ“ ჯგუფი.** „ვერდერი“ – „ნასიონალი“ 4:1, „აუსტრია“ – „ბილბაო“ 0:3.

„ვერდერი“ – 13, „ბილბაო“ – 10, „ნასიონალი“, „აუსტრია“ – 2-2 ქულა.

**„მ“ ჯგუფი.** „შახტარი“ – „ბრიუგე“ 0:0, „ტულუზა“ – „პარტიზანი“ 1:0.

„შახტარი“ – 13, „ბრიუგე“ – 8, „ტულუზა“ – 7, „პარტიზანი“ – 0 ქულა.

◎ ჭადრაკი

# კოსტენიუკს – თასიც, ფულადი ჯილდოც

**თურქეთის ქალაქ კონიაში სამ დღეს გრძელდებოდა მსოფლიო თასის გათამაშება სწრაფ ჭადრაკში. საასპარეზოდ თავი მოიყარეს უძლიერესმა დიდოსტატმა და საერთაშორისო ოსტატმა ქალებმა.** მათ შორის იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი, ევროპის ჩემპიონატების ორგზის გამარჯვებული ტატიანა კოსინცევა, მისი და ნადეჟდა (სამივე – რუსეთიდან), ევროპის ექსჩემპიონები – პია კრამლინგი (შვედეთიდან) და ნატალია ჟუკოვა (უკრაინიდან), მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის ოქროსმედალოსანი ლელა ჯავახიშვილი და სხვები.



თერთმეტი შესაძლებლიდან 10 ქულით პირველი ადგილი და 5000 დოლარი კოსტენიუკს ხვდა. მსოფლიოს თასის მფლობელს ორი ქულით ჩამორჩა ლიტველი ვიქტორია ჩმილიტე, რომელსაც მეორე ადგილი ერგო. 7,5 ქულით მესამე ადგილი რუსმა ტატიანა კოსინცევამ დაიკავა. ლელა ჯავახიშვილი 3,5 ქულით მე-10 ადგილით დაკმაყოფილდა.

დავძენთ, რომ აღნიშნული ფორუმი პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციამ დააფინანსა.

◎ ინტერნეტიდან

## ფიფა ნაკრებებს წაახალისებს

**ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული გუნდი ფიფასგან მიიღებს სარეკორდო თანხას – 20,5 მილიონ ევროს, მეორე ფინალისტი კი – 16,5 მილიონ ევროს. საერთოდ, ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე გუნდებისთვის ფიფამ გამოყო უპრეცედენტოდ დიდი თანხა – 280 მილიონი ევრო.**



ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, კუნძულ როზბენზე (სელაპების კუნძული) გაიმართა. ეს ადგილი შემთხვევით როდი ამოირჩიეს. სწორედ ამ კუნძულზე იყო საყოველთაოდ ცნობილი ციხე, სადაც პატიმრად მრავალი წელი გაატარა აპარტეიდთან დაუღალავმა მებრძოლმა, შემდგომში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნელსონ მანდელამ.

სწორედ აქ შეიქმნა სამხრეთ აფრიკაში პირველი ფედერაცია, რომელშიც შავკანიანი ფეხბურთელები შედიოდნენ და რომელთა შორის იყო ქვეყნის ახლანდელი პრეზიდენტი ჯეიკობ ზუმა.

როგორც ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა განაცხადა: „ის, რაც კუნძულ როზბენზე ხდებოდა, დამაჯერებელი მაგალითია იმისა, რომ ფეხბურთი რაღაც უფრო მეტია, ვიდრე უბრალო თამაში“.

## „რეალი“ ქვედა თეთრეულში გაეხვია

**მადრიდის „რეალმა“ ხელი მოაწერა შეთანხმებას ფირმასთან Little Kiss კლუბის მარკით ქვედა თეთრეულის წარმოების თაობაზე. ახალი ნაწარმი სპეციალიზებული მაღაზიების დახლებზე მომავალი წლის მარტში გამოჩნდება. ამას გარდა, თეთრეული „სამეფო კლუბის“ მარკით გაიყიდება კლუბის საფირმო მაღაზიებში და ინტერნეტშიც.**

გამოუშვებენ სამი სახის თეთრეულს – შავი და თეთრი ბამბისა და შავი ტიულისას. როგორც გაზეთი „მარკა“ იტყობინება, „რეალი“ პირველი სპორტული კლუბია, რომელმაც ფართოხაზი შექმნა ქალთა და კაცთა თეთრეულისთვის. მადრიდის კლუბის გულშემატკივრები მოელიან ამ თეთრეულზე თავიანთი კერპების – რაულის, კაკასა და კრიშტიანუ რონალდუს გამოსახულებათა ხილვას.



ჯანმრთელობა

# სამი ყველაზე სასარგებლო ხილი

**ჩინეთის ტრადიციული მედიცინა სამიათასზე მეტ წელს ითვლის. მისი თავისებურება ისაა, რომ ჩინელებს სხეულის ჯანმრთელობის შენარჩუნების მნიშვნელოვან ასპექტად სულის სიჯანსაღის შენარჩუნება მიაჩნიათ. ისინი ამბობენ: „დავიცვათ ჯანსაღი ცხოვრება და ჯანსაღი აზროვნება“. როგორ შეიძლება ამას არ დაეთანხმო?!**

**ჩინეთის ტრადიციულ მედიცინაში სამკურნალო საშუალებები უნიკალურია იმით, რომ მათ არ გააჩნიათ გვერდითი ეფექტები, ვინაიდან დამზადებული არიან მხოლოდ ნატურალური კომპონენტებისგან. როცა ჩინელს უმზერ, ძნელია განსაზღვრო მისი ასაკი, იმიტომ, რომ ისინი ჭაღარავდებიან ძალიან გვიან (45-50 წლიდანძ, კანიც გადატკეცილი აქვთ, ატლასური. რა თქმა უნდა, ამის დამსახურება მხოლოდ ტრადიციული მეცნიერება კი არა, კოსმეტოლოგიაცაა (კოსმეტოლოგიაში იყენებენ აგრეთვე**



**მხოლოდ ნატურალურ კომპონენტებს, მაგალითად, მარგალიტის პუდრს, კვების ჩვევებს – ჩინელები, ქართველების მსგავსად, საკვებში იყენებენ ბევრ ბოსტნეულსა და სხვა სასარგებლო პროდუქტებსძ.**

**ჩინელების აზრით, ყველაზე სასარგებლო ხილი – ეს არის ვაშლი, ბანანი და მსხალი.**



ვაშლში ბევრია უჯრედისი. ორგანიზმისთვის სასარგებლოა – აკაჟებს გულს, ამცირებს გულის დაავადებების შესაძლებლობას, სტიმულს აძლევს ფილტვების მუშაობას, ამშვიდებს სუნთქვას, აძლიერებს კუჭის სეკრეციას და ამაგრებს მას, აწესრიგებს ღვიძლის მუშაობას.

მაგრამ ვაშლში ბევრი დიაბეტინი და ღვინო-ქვის სიმჟავეა, რაც შლის კბილებს. ამიტომ ვაშლის ჭამის შემდეგ პირში წყალი უნდა გამოივლოთ.

ბანანი „ცივ“ პროდუქტებს განეკუთვნება. ის ხელს უწყობს სისხლის წნევის დაწევას, ამცირებს ცხიმს.

მაგრამ ბანანი ნელა გადამუშავდება, რაც ზიანს აყენებს ნაღვლის ბუშტს.



ამიტომ ბანანს არ ურჩევენ ვისაც დასუსტებული აქვს კუჭი და ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა.

მსხალი მდიდარია წყლითა და ვიტამინებით. თავისი თვისებებით ის განეკუთვნება „ცივ“ პროდუქტებს. ბევრი მსხლის ჭამა საზიანოა, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც აქვს სუსტი ორგანიზმი, ეშინია სიცივის, აწუხებს კუჭისა და ნაწლავების დაავადებანი.

# ანანასი ჩვენი სილამაზის სადარაჯოზე

**მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ანანასში არის ნივთიერება, რომელიც ხელს უწყობს ცხიმის ნალექების შემცირებას. ამ პროდუქტში უამრავი საკვები ნივთიერებაა (ვიტამინები, მინერალები და მიკროელემენტებიძ. ანანასი შეიცავს პრაქტიკულად ადამიანისთვის საჭირო ყველა ნივთიერებას.**

რა არის ანანასის სასარგებლო თავისებურებანი?

– სასარგებლოა ჰიპერტონიკებისთვის.

მედიკოსებმა დაადგინეს, რომ ანანასი დაბლა სწევს სისხლის წნევას და ხელს უწყობს ცხიმის ნალექების გაქრობას სისხლძარღვების კედლებზე.

– გვიცავს გაციებისგან.

ახალი ანანასის გამოყენება საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ გაციება და შეუძლოდ ყოფნის პირველი სიმპტომები.

– იცავს ფიგურის მოხდენილობას.

ანანასის რეგულარული გამოყენება საჭმელში ხელს უწყობს ცხიმის დანალექების დაშლას, მაგრამ ამასთან უნდა დავიცვათ კვების სწორი რაციონი.

– წყვეტს კუჭის პრობლემებს.

ექიმები გვირჩევენ, დავლიოთ ერთი ჭიქა ანანასის წვენი ანდა შევჭამოთ მისი ერთი ნაჭერი ჭამის დროს. ეს მარტივი ხერხი ამაღლებს კუჭის წვენის აქტიურობას.

– წინააღმდეგობას უწევს კიბოს.

მედიკოსებმა დაადასტურეს, რომ ანანასი ბორკავს თავისუფალ რადიკალებს და ამით თა-



ვიდან გვაცილებს კიბოს განვითარებას.

როგორ შევარჩიოთ ანანასი?

იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენს ტერიტორიაზე არ ხარობს ანანასი, ის შემოაქვთ შორეული ქვეყნებიდან. ყიდვის დროს უნდა შევარჩიოთ მწიფე ნაყოფი. მიაქციეთ ყურადღება, რომ ანანასი იყოს ტკბილი, ჰქონდეს სასიამოვნო სუნი, ძალიან ძლიერი სუნი შეიძლება მისი დუღილის დაწყების ნიშანი იყოს.

– კანი უნდა იყოს მკვრივი და ჰქონდეს მოყვითალო ფერი – ეს მის სიმწიფეზე მიუთითებს. თუ კანი მომწვანოა, მაშასადამე ნაყოფი ბოლომდე არ არის მწიფე. თუ კანი დაფარულია მუქი ლაქებით, ეს ნიშნავს, რომ ის გაფუჭებულია.

– ფოთლები ანანასს უნდა ჰქონდეს და მაგარიც უნდა იყოს. თუ ფოთლები ადვილად ეცლება, ესე იგი იწყება მისი ლპობის პროცესი. ასეთს ნუ იყიდით.

ანანასის შესანახად მაცივარი არ გამოდგება – მას არ უყვარს სიცივე – 7 გრადუსზე დაბლა.

# რამდენიმე რჩევა სწორი კვებისთვის



**ჩაი შეიცავს ძლიერ ანტიოქსიდანტებს, რომლებიც გვიცავენ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან და კიბოს ზოგიერთი სახეობისგან. იაპონელი სპეციალისტების გამოკვლევებმა გამოარკვიეს პირდაპირი დამოკიდებულება მწვანე ჩაის გამოყენებასა და სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის.**

**კაკალი და თხილი ძალიან სასარგებლოა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მათი მცირე რაოდენობაც კი, თუ რეგულარულად ვიღებთ, ამცირებს დიაბეტის განვითარების რისკს.**

**სოია დაბლა სწევს წნევას, სისხლში ქოლესტერინის დონეს, ამცირებს თრომბის წარმოქმნის რისკს.**

**ღერღილად დაფქული ხორბალი და მისი პროდუქტები ყოველდღიური გამოყენების დროს ამცირებენ ინფარქტისა და მრავალი სხვა „ასაკობრივი“ დაავადების რისკს.**



**მსუქანი თევზი – ართრიტის, დიაბეტისა და გონებასისუსტის პროფილაქტიკის შესანიშნავი საშუალებაა.**

ხელოვნება

# „მე დედის გულში დავრჩები“...



**სიბერეგამწარებულ, ულამაზეს დოდო დეიდას, როგორ გინდა უთხრა, რომ თემურ დვალიშვილი აღარ არის! თორემ სხვებს ყველას და ყველაფერს ეშველება ჩემო თემურ! შენს უერთგულეს ქეთინოს, რომელიც 7 თვე დღედაღამ თავს გადგა; შენს აცრემლებულ შვილებს, შენს საფიცარ ძმას პაატას, რომლის დაბადების დღეს დაამთხვიე შენი სიკვდილი; შენს დიდ სამეგობროს – ყველას დაგვწყვიტა გული შენმა უდროო სიკვდილმა, მაგრამ მხოლოდ დედის მიმართ არის შენი სიკვდილი ულვთო, რადგანაც მხოლოდ დედის ცრემლია შეუშრობელი!**

**პაატა ვახსენე – მართლაც სამაგალითო იყო თქვენი ძმობა. გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ შენი ძმის მრავალწლიანი ფათერაკი თავგადასავალი, შენი სულიერი თავგადასავალიც იყო ჩემო თემურ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთი საყვედური არ დაგცდენია პატიკოს მიმართ, მუდამ გვერდში ედექი, რადგან იცოდი რომ მას სხვაგვარად არ შეეძლო!**

**დახვეწილი იუმორის ზღვა, გაღმა-გამოღმა თბილისის სამეგობროს თვალი, უშურველი და ვაჟკაცი გული, საძმაკაცოს ჭირში თუ ლხინში მუდამ პირველი, ნაღდი ქალაქელი – ასეთად დარჩები დიდი სამეგობროს ხსოვნაში. როგორც ჩანს ჩემი თაობის ნადგურცემას შესდგომია მიქელგაბრიელი: თემო ასათიანი, ანანია სალუქვაძე, თემურ ებრალიძე და შენ! ეს მხოლოდ ბოლო დროს წასული ბიჭები. რომელი ვართ ღმერთო შემდეგი?.. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის საყვარელი თბილისის, ბებერი კუკიის მიწა, რომელსაც კვირას დაგაყრით გულზე, ამინ!..**

**შენი დათო მხეიძე**

**საქართველოს ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაცია თანაგრძნობას უცხადებს აკადემიკოს რევაზ სეფიაშვილს მამის**

**შოთა სეფიაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, გამორჩეული პიროვნება და შესანიშნავი მათემატიკოსი**

**სულიკო ხაჟომია**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**მარო გონჯილაშვილი, პალიკო კინტრაია, გოგი ჭუმბურიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, დამსახურებული ექიმის**

**ციალა გელაშვილის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.**

## შპს „თბილგვირაბმშენი“ აცხადებს აუქციონს მის ბალანსზე რიცხული ფართის იჯარით გაცემაზე

**ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველასა და შავიშვილის ქ. №15 გადაკვეთაზე მდებარე 100 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, იჯარის საწყისი ოდენობა დღეში – 5 ლ. 1 კვ.მ.-ზე.**

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:**

1. განაცხადი კონკურსში მონაწილეობაზე.
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
3. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს, სხვა პირის სახელით.

იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს.

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 18 დეკემბერს 12 საათზე შპს „თბილგვირაბმშენის“ ადმინისტრაციულ შენობაში.

განცხადების მიღება წარმოებს შპს „თბილგვირაბმშენის“ ადმინისტრაციულ შენობაში მისამართზე: ქ. თბილისი, ცაბაძის ქ. №8, მე-3 სართული. ყოველ სამუშაო დღეს 10 საათიდან 16 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 12 საათამდე.

**დამატებითი ცნობების მისაღებად მოგვმართეთ მისამართზე: ქ. თბილისი, ცაბაძის ქ. №8.**

**ტელ: 95-14-07, 897-90-11-00.**

**შპს „თბილგვირაბმშენის“ ადმინისტრაცია**

**სს „ტრანსმშენის“ დირექტორატი იწვევს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2009 წლის 26 დეკემბერს დღის 12 საათზე მისამართზე: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. №2. მესამე სართული.**

**სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2009 წ. 04 დეკემბერი.**

**დღის წესრიგი:**

1. სს „ტრანსმშენის“ საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების გასხვისების შესახებ.

სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების რეკომენდაცია, რომ აქციონერებმა მხარი დაუჭირონ დღის წესრიგში აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

აქციონერებს საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლების შემოწმება შეუძლიათ დამოუკიდებელ რეგისტრატორთან – შპს „რეგისტრი“, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 74 ა, III სართ. ტელ: 23-01-09.

**სს „ტრანსმშენის“ მმართველი დირექტორი თ. კოტიშაძე**

## განცხადება

**ქ. თბილისის 152-ე საჯარო სკოლის დირექცია და სკოლის სატენდერო კომისია აცხადებს კონკურსს 233 კვ.მ. ფართის იჯარით გაცემის თაობაზე.**

საიჯარო გადასახადის მინიმალური საწყისი თანხა – 670 ლარი თვეში (კომუნალური გადასახადის გარეშეძ

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება სკოლის ადმინისტრაციაში 2010 წ. 8 იანვრის 12 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: **თბილისი, მე-3 მასივი, ზემო პლატო, 152-ე საჯარო სკოლა.**

**დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ტელეფონზე: 76-31-44, 76-19-32.**

ჩვენებურზე

# თინა (თიკა!) კანდელაკი – რუსეთელთა რჩეული



**„წლის ქალი – 2009“ მაღალი საზოგადოების პრემია გახლავთ, რომელიც მოსკოვურმა ჟურნალმა GLAMOUR-მა („გლამოური“-მ) დააწესა. ჯილდოს გადასაცემად რუსეთის დედაქალაქის ბომონდი მ. ერმოლოვას სახელობის თეატრში მიიწვიეს.**

ჟურნალმა სხვა ნომინაციებიც შემოიღო – „წლის მამაკაცი-2009“, „წლის წყვილი-2009“. ყველაზე ღირებულად კი მაინც „წლის ქალის ქანდაკუნა ითვლება, რომელიც საღამოს ორგანიზატორებმა თინა კანდელაკსა და ქსენია სობჩაკს გაუყვეს – ორ რუსეთელ ტელევარსკვლავს.

ჩვენებური თიკა კიდევ ერთმა ვარსკვლავმა ჟანა ფრისკემ თურმე ქათინაურებით შეამკო:

– აბა ვინ უნდა გამხდარიყო „წლის ქალი“, თუ არა თინა? როცა მას კადრში ვხედავ, ტელევიზორს არასდ არ გადავრთავ ხოლმე!

დამეთანხმებით, იშვიათად, რომ ერთმა ლამაზმანმა მეორე ლამაზმანისთვის ქება არ დაიშუროს. საერთოდ კი, როგორც ეტყობა, რუსეთში ავარდნილმა ანტიქართულმა ისტერიამ კულტურის სფეროში ვერ შეაღწია, რაკი თინა კანდელაკს ასეთი პატივი მიაგეს.

ქსენია სობჩაკს რაც შეეხება, ცერემონიის შემდეგ თეატრიდან გამოსულს, ცნობილ პრომოუტერთან ალექსეი ბოკოვთან ხელგაყრილს, პომიდვრები დაუშინეს ქუჩაში – ასე რომ ქსენია ანატოლის ასული „წლის ნაპომიდვრალიც“ გამხდარა...

**თამაზ ებანოიძე**

**სურათზე: სობჩაკი და კანდელაკი: ახლა ნამდვილად აღარ წავიჩხუბებთ, რაკი პირველი პრიზი ორივეს გვერგო.**

დღის კალენდარი

5 დეკემბერი

**26-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. შაბათი.**



ამოდის 07.12
ჩადის 16.29



ამოდის 11.04
ჩადის 20.23

**ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების შემდგომი დღესასწაული. ხსენება მოციქულთა: ფილიმონისა და არქიპოსი – სამეოცდაათთაგანთა და მოწამე მოციქულთა სწორისა აპფიასი (Iძ; მოწამეთა: კიკილიასი (ცეცილიასი)ძ, ვალერიანისა, ტიბურტისა და მაქსიმესი (დაახლ. 230ძ; მოწამე პროკოფი წიგნისმკითხველისა (303ძ; მოწამე მენინგისა (250ძ; ღირსი აგაბო ისმაიტელისა (Vძ; მართლისა მიქაელ მხედრისა, ბულგარელისა (366ძ; კეთილმორწმუნისა მიხეილ ტვერელისა (1318ძ.**

## დაიბადნენ:

1901 – **რენე შმერლინგი,** ხელოვნების ისტორიკოსი, ქართული ხელოვნების მკვლევარი, გარდაიცვალა 1967 წელს.

1868 – **არნოლდ იოჰანეს ზომერფელდი,** გერმანელი ფიზიკოსი და მათემატიკოსი, გარდაიცვალა 1951 წელს.

1899 – **ჯეკ კონროი,** ამერიკელი მწერალი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, გარდაიცვალა 1990 წელს.

1901 – **უოლტ დისნეი,** ამერიკელი კინორეჟისორი და პროდიუსერი, გარდაიცვალა 1966 წელს.

1901 – **ვერნერ ჰაიზენბერგი,** კვანტური თეორიის ერთ-ერთი შემქმნელი, ნობელის პრემიის ლაურეატი, გარდაიცვალა 1976 წელს.

## გარდაიცვალნენ:

1791 – **ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი,** დიდი ავსტრიელი კომპოზიტორი.

1870 – **ალექსანდრ დიუმა უფროსი,** ფრანგი მწერალი.

1926 – **კლოდ მონე, ფრანგი მხატვარი,** იმპრესიონიზმის ფუძემდებელი.

1940 – **იან კუბელიკი,** ჩეხი მევიოლინე და კომპოზიტორი.

## მოვლენები:

1456 – ნეაპოლში ძლიერი მიწისძვრა მოხდა. დაიღუპა 35 000 ადამიანი.

1766 – ყოფილმა საზღვაო ოფიცერმა ჯეიმს კრისტიმ ლონდონში თავისი პირველი აუქციონი გამართა და დასაბამი მისცა ცნობილი კრისტის აუქციონის ისტორიას.

1904 – რუსეთ-იაპონიის ომის მსვლელობისას, პორტ არტურში იაპონელებმა გაანადგურეს რუსეთის ფლოტი.

1917 – თურქეთში ქალებს საარჩევნო უფლებები მიანიჭეს.

1946 – ნიუ-იორკი აირჩიეს გაეროს შტაბ-ბინის მუდმივ ადგილსამყოფელად.

1994 – ძალაში შევიდა ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში მოღვაწე მოხალისეთა საერთაშორისო დღე.**

**ტაილანდი** – ეროვნული დღე.

**მედიანიუსი**

**ამინდი დღეს**

| | |
|---|---|
| თბილისი. | +3 – +8 |
| ქუთაისი. | +9 – +18 |
| ბათუმი. | +9 – +15 |
| ზუგდიდი. | +7 – +14 |
| თელავი. | +1 – +8 |



**ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6734 ლარი |
| 1 ევრო | – 2.5267 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7877 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7592 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.3389 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0852 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.0946 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1179 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4614 ლარი |



**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

დაიჯესტი

# აბა, ისა ყოფილა...

ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა-პალეონტოლოგმა პოლ სერენომ საჰარის უდაბნოში გიგანტური ნიანგის ნარჩენები ამოთხარა; როგორც გათვლებით გამოირკვა, ეგ ურჩხული 100 მილიონი წლის წინათ ცხოვრობდა, სიგრძით 15 მეტრს აღწევდა, 8 ტონას იწონიდა და ოთხ თათზე დადიოდა.

იმ შორეულ წლებში დინოზავრები ნიანგებთან მეზობლობდნენ და „ჩვენი“ გიგანტიც დინოზავრებით იკვებებოდა. უდაბნო საჰარა კი სიცოცხლით, მდინარეებითა და ტბებით ყოფილა სავსე. კიდევ კარგი, რომ ადამიანები მაშინ ჯერ კიდევ არ გამოჩენილიყვნენ, თორემ... ყველას შეახრამუნებდნენ.

...ასეთგანზომილებებიან ქვეწარმავლებს ახლა მხოლოდ ფანტასტიკურ ტრილერებში თუ უჩვენებენ...



კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.